აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№108 (24.988) სამშაბათი, 4 - 5 ოქტომბერი, 2022 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს ზოგან მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 22-27, მაღალ მთაში - 15-20 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 20 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 761 მილიმეტრი.

ხვალ დილით იწვიმებს, მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

პარლამენტი და, ზოგადად, საზოგადოება უნდა დაუბრუნდეს იმ რეალურ პოლიტიკას, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი ხალხისთვის, - ამის შესახებ შალვა პაპუაშვილმა კლიმატის კანონის შემუშავების პროცესის გახსნით ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. მისი თქმით, პოლიტიკური დღის წესრიგს დისკუსიის დიდი ნაწილი მიაქვს, ადამიანის საჭიროებებზე ორიენტირებული რეალური პოლიტიკა კი ხშირად ყურადღების მიღმა რჩება. პარლამენტის თავმჯდომარემ ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდს (WFD) ღონისძიების ორგანიზებისთვის და საპარლამენტო დემოკრატიის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა.

* * *

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სამუშაო ჯგუფის სხდომაზე დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონპროექტზე იმსჯელეს. კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილის განმარტებით, ევროპული სტრუქტურების მიერ დეოლიგარქიზაციის შესახებ უკრაინის მიერ მიღებული კანონის იმპლემენტაციის თაობაზე რეკომენდაცია გაიცა. „შესაბამისად, საქართველოსთვის ის მიდგომა, რაც უკრაინისთვის გაიწერა, რომ დაწყებულიყო კანონის შესრულება, ობიექტურ საზომს წარმოადგენს. ჩვენ სწორებას ვაკეთებთ ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულებაზე და თუ მათი მხრიდან მოწონებული იქნა უკრაინული მოდელი, მაშინ ლოგიკურია, რომ იგივე მოდელი ჩვენთან მიმართებაშიც პოზიტიურად შეფასდება, - აღნიშნა ოხანაშვილმა. მისივე ინფორმაციით, უკრაინული მოდელი დასკვნისთვის ვენეციის კომისიას უკვე გადაეგზავნა.

* * *

საქართველო ნატოში დაჩქარებული წესით შესვლის განაცხადის თაობაზე გადაწყვეტილებას იმ მოცემულობიდან გამომდინარე მიიღებს, რომელიც ქვეყნისთვის უკეთესი იქნება, ამის თაობაზე „ქართული ოცნების“ წევრმა, პარლამენტარმა ნინო წილოსანმა განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, უკრაინას ქვეყანაში მიმდინარე ომი უფრო თამამი ნაბიჯების გადადგმის საშუალებას აძლევს, მაგრამ ამ შემთხვევაში, საქართველო ვერ იქნება სრულად იდენტურ მოცემულობაში გადაწყვეტილებების მიღების კუთხით.

* * *

„ქართული ოცნება“, ფაქტობრივად, ღიად ამბობს უარს ნატოს წევრობაზე, - განაცხადა „სტრატეგია აღმაშენებლის“ თავმჯდომარე გიორგი ვაშაძემ. მისი თქმით, „ეს არის გზა სწორედ იმ ნეიტრალიტეტისკენ, რომელიც რამდენიმე თვის წინ მათ შემოგვიგდეს“.

მოამზადა
ია შველიძემ

2023 წლის WORLD TRAVEL AWARDS-ის დაჯილდოებას ბათუმი უმასპინძლებს

1 ოქტომბერს, World Travel Awards- ის დაჯილდოების ცერემონიაზე ბათუმმა 2022 წლის ევროპის სწრაფად მზარდი ტურისტული მიმართულების ჯილდო მოიპოვა. კუნძულ მალიორკაზე, ბათუმი ასევე ოფიციალურად დასახელდა 2023 წლის World Travel Awards-ის დაჯილდოების ღონისძიების მასპინძელ ქალაქად, - ინფორმაციას აჭარის მთავრობა ავრცელებს

„აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ ტურიზმის ოსკარის ცერემონიალში მიიღო მონაწილეობა და დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა. ტურიზმის ინდუსტრიის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებაზე ბათუმმა ისეთ მნიშვნელოვან კონკურენტებზე მოიპოვა გამარჯვება, როგორებიცაა მატერა (იტალია), დერი (ჩრდილოეთ ირლანდია), კუტნა ჰორა (ჩეხეთი), სოფია (ბულგარეთი), ბაქო (აზერბაიჯანი), ლუბლიანა (სლოვენია), ბრატისლავა (სლოვაკეთი), ბრასოვი და სიბიუ (რუმინეთი)“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

მთავრობის მიერვე გავრცელებული ცნობით, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე შეხვდა მსოფლიო ტურიზმის დაჯილდოების პრეზიდენტ გრეჰემ კუკს.

„მსოფლიოს ტურიზმის პრეზიდენტმა დელეგაციის წევრებს ბათუმის საერთაშორისო აღიარება მიულოცა. მხარეებმა 2023 წელს მსოფლიო ტურიზმის დაჯილდოების გალა ცერემონიალის ბათუმში გამართვის შესახებ იმსჯელეს. სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე სულხან ღლონტმა და მსოფლიო ტურიზმის დაჯილდოების ვიცე-პრეზიდენტმა სიონ რაფსონმა“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

World Travel Awards-ი 1993 წლიდან სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის ყველა სექტორში საუკეთესო მიმართულებებისა და კომპანიების გამოვლენისა და დაჯილდოების მიზნით იმართება. დაჯილდოებაზე ასობით ნომინაცია და ათასობით ნომინანტი კონტინენტებისა და ქვეყნების მიხედვით სხვადასხვა კატეგორიაშია გადანაწილებული. მათ შორისაა წამყვანი სასტუმროები, ტურისტული სააგენტოები, ტურისტული ატრაქციები, მიმართულებები, ტუროპერატორები, ასევე საზღვაო, საგზაო, საჰაერო ტრანსპორტის კომპანიები.

ია შველიძე

„ამერიკული განათლება შენს ქალაქში“ – საერთაშორისო დონის, მომავალზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სივრცე გაიხსნა

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

ბათუმში გაიხსნა ქართულ-ამერიკული აკადემია „პროგრესის“ ახალი კამპუსი, რომლის მთავარი მიზანია, მოსწავლეებს შესთავაზოს მაღალ სტანდარტს მორგებული განათლება და მოამზადოს ისინი საერთაშორისო უნივერსიტეტებში სწავლის გასაგრძელებლად, რასაც მოწმობს ის ორმაგი საშუალო განათლების სასწავლო პროგრამა და დიპლომი, რომელსაც სკოლა გასცემს.

შენობაში, რომელიც 800 მოსწავლეზეა გათვლილი, თანამედროვე და მაღალტექნოლოგიური ინფრასტრუქტურაა მოწყობილი. სკოლის გახსნის ცერემონიაში მთავრობის და საზოგადოების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

საკლასო ოთახები, ელექტრონული დაფები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სააქტო და საკონფერენციო დარბაზები, მოსასვენებელი, შეხვედრებისა და კვების სივრცეები, ფიზიკური აღზრდისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი აქტივობებისთვის განკუთვნილი სპორტდარბაზი - სკოლა მომავალი თაობების სრულყოფილი აღზრდისთვის საჭირო ყველა პირობასა და სტანდარტს აკმაყოფილებს.

იხ. გვ-7 ვ3.

რა შემთხვევაში არიან ძაღლები აგრესიულები - კინოლოგის რჩევები

5

პირველად - აჭარის მთიანეთის ისტორიაში

6

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

 აჭარა 101

ქალაქს კიდევ ერთი საბავშვო ბაღი შეემატა

ბათუმში, ლერმონტოვის ქუჩაზე ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გახსნის ცერემონიას ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, საბავშვო ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი დავით დიასამიძე, ბათუმელთა მაჟორიტარი საქართველოს პარლამენტში რესან კონცელიძე და აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები დაესწრნენ

- ძალიან სასიხარულო დღეა ჩვენი პატარებისათვის, გაიხსნა N21 საბავშვო ბაღი, რომელიც არის სრულიად ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობა განახლებული ინფრასტრუქტურით. მნიშვნელოვანია, რომ წლის ბოლომდე კიდევ ოთხი ბაღი შევა ექსპლუატაციაში, - აღნიშნა ქალაქ ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღის შენობა 175 აღსაზრდელზეა გათვლილი. შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი შშმ პირთათვის. ბაღს აქვს კეთილმოწყობილი ეზო. სამუშაოების საერთო ღირებულებამ 2 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

- მოხარული ვარ, რომ ბათუმში აქტიურად გრძელდება ახალი საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა, ძველის რეაბილიტაცია და კიდევ უფრო მეტ აღსაზრდელს ეძლევა შესაძლებლობა, თანამედროვე, არაჩვეულებრივად მოვლილ გარემოში მიიღოს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო მომსახურება, - განაცხადა გახსნის ცერემონიაზე მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა.

ია შველიძე

კანონში ცვლილების პაკეტის სამუშაო ვერსიაზე მუშაობა დასრულებულია

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

ის დამსაქმებლები, რომლებიც არასრულად უხდიან დასაქმებულებს საპენსიო შენატანს, ან უქვითავენ დასაქმებულს, მაგრამ საპენსიო ფონდში არ რიცხავენ, შესაძლოა, დაჯარიმდნენ

ამის შესახებ „საპენსიო სააგენტოს“ დირექტორმა გიორგი დანელიამ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე განაცხადა.

მისივე თქმით, კანონში ცვლილების პაკეტის სამუშაო ვერსიაზე მუშაობა დასრულებულია.

„საპენსიო ფონდში“ აქტივები, რომლებსაც არ ერიცხება პროცენტი, არის ის თანხები, რომლებსაც დამსაქმებელი ჩვენს ნომინალურ ანგარიშებზე რიცხავს, მაგრამ დეკლარაციებს არ ავსებს, ანუ თვითონვე არ უთითებს ვისი ფული არის ეს. შესაბამისად, ამ ფულს ჩვენ ვერ განვკარგავთ იმიტომ, რომ არ ვიცით სქემის რომელი მონაწილის საკუთრებაა, ეს არ არის იდენტიფიცირებული, ამიტომ ასეთი თანხები ჩვენს ანგარიშზე გროვდება. ჩვენ მომზადებული გვაქვს კანონში ცვლილებების პაკეტი, რომლის სამუშაო ვერსიაზე მუშაობაც წინა კვირაში დავასრულეთ შესაბამის სამინისტროებთან ერთად და ერთ-ერთი პუნქტი, რომლითაც შეიძლება ისარგებლონ სქემის მონაწილეებმა იყო ის, რომ ამ თანხაზე დაგვერიცხა საპროცენტო სარგებელი და ის საპროცენტო სარგებელი გამოგვეყენებინა დაფინანსების წყაროდ, თუმცა იურიდიულად საკმაოდ რთულია და კაზუსს იწვევს, ამიტომ ვერ ხერხდება მისი გამოყენება, ამიტომ ეს თანხა კვლავ დარჩება. თუმცა, რომ შემოვა ეს კანონი პარლამენტში, თქვენც გაეცნობით და ნახავთ, რომ არის შემოთავაზებული დაჯარიმების მექანიზმი იმ დამსაქმებლებისთვის, რომლებიც არასრულად უხდიან დასაქმებულებს საპენსიო შენატანს, ან უქვითავენ დასაქმებულს, მაგრამ საპენსიო ფონდში არ რიცხავენ, პრევენციის სახით ჯარიმის რაღაც ოდენობა განისაზღვროს. ვფიქრობთ, ეს შეამცირებს ამ თანხის ოდენობას, ხოლო მას, ვისაც უკვე გადმორიცხული აქვს, ეცდება, რომ გაანაწილოს, სანამ დაჯარიმების მექანიზმი ამოქმედდება და სამომავლოდაც დანიშნულების გარეშე არ გადმორიცხოს თანხები“, - განაცხადა გიორგი დანელიამ.

იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით...

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

2022 წლის 24 თებერვლიდან 9 სექტემბრის ჩათვლით, საქართველოში ბინადრობის უფლების მინიჭების მოთხოვნით რუსეთის მოქალაქეების მიერ 3283 განცხადება შევიდა, საიდანაც 2009 დაკმაყოფილდა, 708-ს -უარი ეთქვა, ხოლო 89 განცხადება განხილვაშია

უფრო კონკრეტულად, საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვა რუსეთის 952-მა მოქალაქემ ითხოვა, აქედან 661-ის განცხადება დაკმაყოფილდა, 109-ს - უარი ეთქვა, ხოლო განხილვაშია 36; შრომითი ბინადრობის უფლება ითხოვა 811-მა პირმა, აქედან 311-ს უარი ეთქვა, 352 - დაკმაყოფილდა, ხოლო 17 განცხადება განხილვაშია.

მოკლევადიანი ბინადრობის უფლება 714-მა პირმა ითხოვა, საიდანაც 372 დაკმაყოფილდა, 249-ს - უარი ეთქვა, 21-ის განცხადება განხილვაშია;

ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის უფლება ითხოვა 295-მა პირმა, აქედან 230 დაკმაყოფილდა, 18-ს უარი ეთქვა, 2 განცხადება განხილვაშია; საქართველოს ყოფილი მოქალაქისთვის ბინადრობის ნებართვის 291 განცხადებიდან 227 დაკმაყოფილდა, 10-ს უარი ეთქვა, 8 - განხილვაშია;

სასწავლო ბინადრობის ნებართვა 167-მა პირმა მოითხოვა, აქედან 7-ს უარი ეთქვა, 128 დაკმაყოფილდა, ხოლო 5-ის განცხადება განხილვაშია; სპეციალური ბინადრობის ნებართვა 16 პირიდან 12-ს მიეცა; ხოლო დროებითი ბინადრობის ნებართვა ერთმა პირმა მოითხოვა, რომელიც დაკმაყოფილებულია.

რაც შეეხება ბინადრობის უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით ბოლო რამდენიმე წლის მონაცემებს, 2017 წლის პირველი იანვრიდან 2022 წლის 9 სექტემბრის ჩათვლით, რუსეთის ფედერაციის 13 624-მა მოქალაქემ საქართველოში ბინადრობის უფლება მოითხოვა, საიდანაც 11 266-ის განცხადება დაკმაყოფილდა, 1229 პირს კი უარი ეთქვა.

უფრო კონკრეტულად, 2017 წლის პირველი იანვრიდან 2022 წლის 9 სექტემბრამდე, უწყებაში მუდმივი ცხოვრების ნებართვაზე 5596 განცხადება შევიდა, საიდანაც 4840 დაკმაყოფილდა, ხოლო 324-ს უარი ეთქვა; ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის 1470 განცხადებიდან დაკმაყოფილებულია 1307, ხოლო უარი ეთქვა 38-ს; სასწავლო ბინადრობის 548 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 476, ხოლო უარი ეთქვა 10 პირს; სპეციალური ნებართვა 57-დან 49 პირზე გაიცა. შრომითი ბინადრობის ნებართვა კი 2311 პირიდან 1597-მა მიიღო, ხოლო უარი ეთქვა 446 პირს; საქართველოს ყოფილი მოქალაქისთვის ბინადრობის ნებართვის 1113 განცხადება შევიდა, საიდანაც 32 არ დაკმაყოფილდა, ხოლო 1000-ზე დამაკმაყოფილებელი პასუხი გაიცა; ამავე პერიოდში, უწყებაში დროებითი ბინადრობის ნებართვის 1 განცხადება იყო შესული, რომელიც დაკმაყოფილებულია; მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვაზე 2407 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 1910, ხოლო უარი ეთქვა 257 პირს; მუდმივი საინვესტიციო ნებართვის 43 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 30, უარი ეთქვა - 12-ს.

ამბები

შაბათ-კვირის ქრონიკა

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ლიტერატურული კონკურსი „პეგასი“ ჩატარდა. ხუთ ნომინაციაში გამარჯვებული ახალგაზრდები დაჯილდოვდნენ სიგელებით, ფასიანი საჩუქრებით და ფულადი ჯილდოთი. პროექტის მიზანია დამწყები შემოქმედებითი ახალგაზრდების გამოვლენა და მათ შესახებ ცნობადობის გაზრდა. ასევე, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტებში. ფინალისტებისთვის გამოიცემა ბროშურა „პეგასი 2022“ საჩუქრად, რომელშიც შევა ფინალური ტურის მონაწილეთა ნამუშევრები. დასკვნით ღონისძიებას ესწრებოდნენ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მირიან კვირიტიძე, ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის უფროსი თამარ გუდავა, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ანზორ ბოლქვაძე, უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატი ფრიდონ ფუტკარაძე, სამსახურის თანამშრომლები და მოწვეული სტუმრები.

* * *

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი ზაზა დიასამიძე, საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ ირემაძე, ჰოლანდიური კომპანია **„CITYFORSTER“** წარმომადგენლები, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ხელმძღვანელი მთა მტირალასა და სოფელ ყოროლისთავის ტურისტულ პოტენციალს გაეცნენ და კვლევის პროცესში მიიღეს მონაწილეობა. პროექტის ფარგლებში მთა მტირალასა და სოფელ ყოროლისთავის ტურისტული განვითარების კონცეფცია მომზადდება და სამოქმედო გეგმა შემუშავდება. პროექტის ფარგლებში, ასევე, დაგეგმილია ტურისტული ინფრასტრუქტურის პროექტების მომზადება, ბილიკების მონიშვნა, საოჯახო სასტუმრო სახლებისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტებზე რეკომენდაციების მომზადება. პროექტის განხორციელებისთვის 170 700 დოლარია გამოყოფილი და მას გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით, გამოცდილი ჰოლანდიური კომპანია **„CITYFORSTER“**-ი ასრულებს.

* * *

ეროვნული ლიგის 28-ე ტურის შეხვედრაში „დინამო“ ბათუმმა ბოლნისში „სიონთან“ ფრედ 1-1 ითამაშა. ანგარიში მამუჩაშვილის გადაცემის შემდეგ მილან რადინმა გახსნა და ბათუმელები წინ გავიდნენ. პირველი ტაიმის მიწურულს კი „დინამო“ 10 კაცის შემადგენლობით დარჩა, მოედანი ირაკლი ბიძინაშვილს დაატოვებინეს. 54-ე წუთზე ანგარიში გიგნაბუიუმ გაათანაბრა. 76-ე წუთზე ბექაურმა წითელი ბარათი მიიღო და მოედანზე გუნდები თანაბარი მოთამაშეებით დარჩნენ, თუმცა მატჩში გოლი აღარ გასულა. 28 ტურის შემდეგ გია გეგუჩაძის გაწვრთნილ ბათუმელებს 61 ქულა აქვთ და ისევ პირველ ადგილზე იმყოფებიან. „დინამო“ თბილისმა კი ფრედ 0-0 ეთამაშა ქუთაისში „ტორპედოს“. დედაქალაქელები 60 ქულით მეორე ადგილზე რჩებიან. მომდევნო ტურში „დინამო“ ბათუმი 7 ოქტომბერს თბილისში სწორედ „დინამო“ თბილისს დაუპირისპირდება.

მოამზადა ნათია იმნაიშვილმა

რატომ არის ნაწილობრივი მობილიზაცია კრემლისთვის განაჩენი?

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

დღევანდელ მსოფლიოში მრავალმხრივ დრამატული ვითარება შეიქმნა: რუსეთ-უკრაინის ომი, რუსი მოსახლეობის მიგრირება სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, შუააზიის სახელმწიფოების დისტანცირება რუსეთის ორბიტასთან, სამხრეთ კავკასიაში აშშ-ისა და თურქეთის პოზიციირების გამყარება (ყარაბახის ომი ამის მაგალითია), ნატოს გაფართოება და ევროკავშირის გავლენის განვრცობა პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე, რაც გარკვეულწილად, მსოფლიოს ახალ გადანაწილებას ცხადყოფს...

მიუხედავად აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის და ყირიმის ოკუპაციისა, მსოფლიო წესრიგი რუსეთის სასარგებლოდ არ იცვლებოდა, საქართველო, უკრაინა და მოლდოვა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ ქმედით ნაბიჯებს დგამენ, რაც რუსეთისთვის მიუღებელია. მისი ინტერესია, აღიდგინოს 1991 წლის შემდეგ დაკარგული გავლენები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, შუა აზიასა და სამხრეთ კავკასიაში. ეს უკანასკნელი ევროპისთვის ალტერნატიული ენერგოტრანზიტისა და ახალი აბრეშუმის გზის - „შუა კორიდორის“ მარშრუტის განვითარების კუთხით მნიშვნელოვან სტრატეგიულ კვანძს წარმოადგენს. მოსკოვის თვალთახედვით, თავისი მიზნების მისაღწევად აუცილებლად სჭირდება „ახლო აღმოსავლეთში“ რუსული გავლენების აღდგენა, ამისთვის იგი მოითხოვდა და მოითხოვს არა მხოლოდ ევროატლანტიკური სტრუქტურების გაფართოების შეწყვეტას, არამედ მის უკან დახევას 1997 წლის პოზიციაზე, რაც დასავლეთისთვის მიუღებელია მრავალი ფაქტორიდან გამომდინარე. ჯერ ერთი, აღმოსავლეთ ევროპა, რომ აღარაფერი ვთქვათ პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე, მთლიანად რუსეთის გავლენის ქვეშ მოექცევა და მეორე - ევროპა მთლიანად რუსეთზე ენერგოდამოკიდებული გახდება. ამ მხრივ დასავლეთს რეგიონში ორი მნიშვნელოვანი მიზანი აქვს: უზრუნველყოს ნატოსა და ევროკავშირის ქვეყნების უსაფრთხოება და შექმნას რუსეთისგან დამოუკიდებელი ენერგო და სავაჭრო-სატრანსპორტო დერეფანი. ამისთვის აუცილებელია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში მიიწვიონ აღმოსავლეთ ევროპის ის ქვეყნები, რომლებსაც ცენტრალური აზიის რეგიონთან დამაკავშირებელი საზღვაო და სახმელეთო გზების განვითარების შესაძლებლობა აქვს. ამ თვალსაზრისით საქართველოს და უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანებით დასავლეთი მიიღებს წმინდად „ევროპულ ენერგოდერეფანს“, რომლითაც შეძლებს, რუსეთისგან დამოუკიდებელად, კასპიის და ირანის ენერგომატარებლების ტრანსპორტირებას ევროპულ ბაზარზე, დასავლეთის სწორედ ეს დივიდენდები მიუღებელია რუსეთისთვის და ამიტომაც წამოიწყო ომი უკრაინის წინააღმდეგ. ისმის კითხვა: რა აჩვენა მსოფლიოს უკრაინაში ომის მეშვიდე თვემ? ალბათ, მთელი მსოფლიო და მით უმეტეს რუსეთი ვერ წარმოიდგენდა უკრაინელთა ასეთ თავდადებას, ბრძოლისუნარიანობას. ხუმრობა ხომ არ არის, სიმძლავრით მსოფლიოს მეორე არმიას (ამ დრომდე ეს ასე აღიქმებოდა) უკრაინელები არა მარტო უმკლავდებიან, არამედ მნიშვნელოვან წარმატებას აღწევენ ფრონტის ხაზზე. უკრაინელი ხალხის წინააღმდეგობამ, ასევე მოკავშირეთა ერთსულოვნებამ, მათმა სამხედრო-ეკონომიკურმა, დიპლომატიურმა დახმარებამ და მთელი მსოფლიოს რეაქციამ აჩვენა, რომ სოლიდარობას და თავისუფლებისკენ სწრაფვას ვერანაირი არმია და სამხედრო უპირატესობა ვერ გადაწონის. პირდაპირ უნდა ითქვას, რუსეთი არ ელოდა უკრაინის მხრიდან ასეთ ღირსეულ წინააღმდეგობას და არც ამგვარ საყოველთაო თანადგომას მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებისგან, რომლებმაც უარი თქვეს ეკონომიკური სიკეთეების მიღებაზე და უმკაცრესი სანქციები დაუწესეს რუსეთს. პუტინს ეგონა, რომ რახან გაუვიდა 2008 წელს - საქართველოში, 2014 წელს ყირიმში შეჭრა და ტერიტორიების მიტაცება, 2022 წელსაც იგივე მოხდებოდა, მაგრამ ამჯერად უკრაინელები მომზადებულნი და დასავლეთიც უფრო პრინციპული აღმოჩნდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ უკრაინაში დასავლეთი ეომება რუსეთს და როგორც მოსალოდნელი იყო, სასწორის პინა დასავლეთისკენ იხრება. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ რუსეთმა ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცხადა. ამ მიმართებით ექსპერტები მსჯელობენ, რას ნიშნავს ნაწილობრივი მობილიზაცია და რატომ არის ის კრემლისთვის განაჩენი? თავიდათავი ის გახლავთ, რომ ომის შვიდი თვის განმავლობაში რუსეთმა დაკარგა საკუთარი არმიის ყველაზე ძლიერი და ბრძოლისუნარიანი ქვედანაყოფები, ომის პირველივე კვირებში უკრაინამ მიწასთან გაასწორა ისინი. სამხედრო ექსპერტების თქმით, ბრძოლისუნარიანი საჯარისო ნაწილების შექმნას დაახლოებით ხუთი თვე სჭირდება, ამ ხნის განმავლობაში, ცხადია, უკრაინა უქმად არ იქნება და ბრძოლის ველზე წარმატების მიღწევას შეეცდება. გარდა ამისა, არის მნიშვნელოვანი გარემოება, რაც გასათვალისწინებელია: რუსეთში ბოლოს ნიკოლოზ მეორემ გაბედა მობილიზაციის გამოცხადება და მერე რაც მოხდა, ცნობილია, რუსეთმა 1914 წელს იაპონიასთან წააგო ომი, მერე პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა და გამოქცეულმა რუსმა ჯარისკაცებმა საკუთარ ქვეყანაში დაამხეს მეფის მთავრობა. მოხდება თუ არა ანალოგიური რამ ამჯერად, ძნელია თქმა, თუმცა ცხადია, რომ რუსეთი უკრაინაში მარცხისკენ მიდის.

რუსეთში ბოლოს ნიკოლოზ მეორემ გაბედა მობილიზაციის გამოცხადება და მერე რაც მოხდა, ცნობილია, რუსეთმა 1914 წელს იაპონიასთან წააგო ომი, მერე პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა და გამოქცეულმა რუსმა ჯარისკაცებმა საკუთარ ქვეყანაში დაამხეს მეფის მთავრობა. მოხდება თუ არა ანალოგიური რამ ამჯერად, ძნელია თქმა, თუმცა ცხადია, რომ რუსეთი უკრაინაში მარცხისკენ მიდის

ახლახან, საკუთარი მოსახლეობის გულის მოსაგებად პუტინმა უკრაინის ოთხი რეგიონის ანექსირება დააკანონა, ამავე დროს, დაემუქრა კიევს და დასავლეთს, თუმცა პასუხმაც არ დააყოვნა - ლიმანი უკრაინამ გაათავისუფლა, თანაც განაცხადი შეიტანა ნატოში დაჩქარებული წესით გაწევრიანების თაობაზე. ალბათ მოსკოვი ვარაუდობს, რომ უკრაინა ვერ გაბედავს დონეცკის რეგიონზე შტურმს, თუმცა კიევმა განაცხადა, რომ უკრაინა ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციისთვის ბოლომდე იბრძოლებს.

სწორედ ამას უსვამს ხაზს პრეზიდენტი ზელენსკი: „არავითარი კომპრომისი რუსებთან, უკრაინამ ყველა წართმეული ტერიტორია უნდა დაიბრუნოს და ეს ასეც იქნება“. თავის მხრივ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა გააფრთხილა მოსკოვი, რომ არც კი იფიქროს ატომური იარაღის გამოყენებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგები რუსეთისთვის სავალალო იქნება. არც ისაა დასამალი, რომ რუსეთის ავტორიტეტი მსოფლიოში შეილახა, მას აღარ დარჩა მოკავშირეები. მან ხომ სომხეთი გაწირა ყარაბახის ომში, შუა აზია კი პრაქტიკულად დაუთმო ჩინეთს... ტაჯიკეთში გამართული ამასწინანდელი ფორუმი სწორედ რუსეთის დაკნინების თვალსაჩინო მაგალითი იყო. ალბათ პუტინი ვერც კი წარმოდგინდა, რომ მასთან ერთი-ერთზე შეხვედრისას ყირგიზეთის პრეზიდენტი დაახლოებით ხუთ წუთს აცდევინებდა. ადრე მას ანალოგიურად მოექცა ერდოღანიც, რაც სწორედ იმას ნიშნავს, რომ რუსეთის ავტორიტეტი მსოფლიოში ეცემა. ჩინეთი, ინდოეთი და დასავლეთი მოუწოდებს რუსეთს, შეწყვიტოს ომი უკრაინაში, რაზეც მოსკოვი ჯერჯერობით არ თანხმდება. ექსპერტები საომარი მოქმედებების დასრულებას, სავარაუდოდ, 2023 წლის გაზაფხულზე ვარაუდობენ, ანუ დასავლეთის მიზანია, სამხედრო თვალსაზრისით რუსეთი გამოფიტოს და ეკონომიკურად დაასუსტოს, რომ ვედარასოდეს შეძლოს ახალი ომის წამოწყება და მაინც, ჩნდება კითხვა: რამ განაპირობა რუსეთის კრახი უკრაინაში? როგორც ცნობილია, უკრაინას მთელი მსოფლიო ეხმარება, ამზადებენ უკრაინელ ჯარისკაცებს ნატოს სტანდარტებით, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია ომის მსვლელობისას. როგორც ამბობენ, რუსეთი მეოცე საუკუნის შესაბამისად იბრძვის, უკრაინა კი 21-ე საუკუნის შესაფერისად აწარმოებს სამხედრო ოპერაციებს, შედეგიც სახეზეა - უკრაინა კონტრშეტევაზეა გადასული, ხარკოვის რეგიონი მთლიანად გაათავისუფლა ოკუპანტებისგან, რუსები მხოლოდ დონეცკის და ლუგანსკის 70 პროცენტს და მარიუპოლსა და ხერსონს აკონტროლებენ. არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებს რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები. ეს კომპონენტი რუსეთის დასუსტებას ძალიან უწყობს ხელს. ხშირად კითხულობენ - სანქციების გამკაცრება თუ შეიძლება? რა თქმა უნდა, შეიძლება, ჯერ რაციონალური სანქციებია, სერიოზული სანქციები წინ არის. მაგალითად, შეიძლება ვივარაუდოთ ბლოკადა, სამხედრო ოპერაციებიც. ყველაზე დიდი სანქცია იქნება, თუ ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში წარდგენილი დასაბუთებული ბრალის შემთხვევაში, გამოიტანენ პუტინის გამამტყუნებელ განაჩენს და საერთაშორისო დამნაშავედ ცნობენ. ამას მოითხოვენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ლიდერები. ბევრს შეიძლება კითხვა გაუჩნდეს - დააკავებენ თუ არა პუტინს, როგორ აღსრულდება განაჩენი? ამას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, რომ ქვეყანას ეყოლება ჰააგის სასამართლოს მიერ საერთაშორისო დამნაშავედ ცნობილი პირველი პირი და ეს უკვე არა მარტო კონკრეტული პიროვნების, არამედ მთელი ქვეყნის დისკრედიტაციაა. საეჭვოა, ვინმე მოლაპარაკების მაგიდასთან დაუჯდეს სისხლის საერთაშორისო სასამართლოში გასამართლებულ პირს და მასთან ხელი მოაწეროს რაიმე შეთანხმებას, რადგან ამგვარი შეთანხმება იქნება დისკრედიტირებული. როგორც ჩანს, ეს კარგად აქვთ გაცნობიერებული რუსეთში და ცდილობენ დასავლეთის დაშანტაჟებას ბირთვული ომით, თითქოს და იმ მიზეზით, რომ დასავლეთს სურს რუსეთის დაშლა, არადა, თავად პუტინს მიჰყავს ქვეყანა დაშლისკენ. სწორედ ამის თაობაზე საუბრობს ცნობილი რუსი მწერალი მიხაილ ვულდერი: „პუტინის გაუაზრებელმა პოლიტიკამ რუსეთი დაშლის პირას მიიყვანა, მან ჩაიდინა დანაშაული უკრაინის წინააღმდეგ. გარდა ამისა, აშშ-მა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ რუსეთი და ჩინეთი არ დაახლოვდნენ, ამ სახელმწიფომ პრაქტიკულად, აღმოსავლეთ რუსეთი მიითვისა და იქ თავისი კოლონიები დააარსა“. რაც შეეხება სანქციებს: ყირიმში რუსეთის აგრესიის საპასუხოდ დაწესებული სანქციები ზღვაში წვეთი იყო იმასთან დაკავშირებით, რასაც დღეს რუსეთი იმკის, უფრო მეტიც, რუსეთის ელიტა ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ეს სანქციები შეეხებოდა, თუმცა შეცდნენ. როგორც ცნობილია, რუსეთმა ასობით მილიარდი დოლარი დაკარგა და ეს მხოლოდ დასაწყისია. დასავლეთის სახელმწიფოებთან ღია კონკურენციაში რუსეთი აშკარად მარცხდება. დღეს გარკვეულწილად, უკრაინაში წყდება ევროპის გეოპოლიტიკური სისტემის მდგრადობა - ამას აცხადებენ ექსპერტები. ომის შედეგს საქართველოს საგარეო პოლიტიკასა და სამომავლო პერსპექტივაზე ძალიან დიდი გავლენა ექნება. უკრაინის გამარჯვების შემთხვევაში მოგვეცემა შანსი, რომ გავწევრიანდეთ ევროკავშირსა და ნატოში, რაც იქნება ჩვენი უსაფრთხოების გარანტია და ეკონომიკური კეთილდღეობის ყველაზე ეფექტური გზა. ისიც ცხადია, რომ ეს გზა სიძნელეებით და დაბრკოლებებითაა სავსე. ეს გზა წარმატებით რომ გავიაროთ, უმთავრესად, დასავლეთის მხარდაჭერა და შიდა სტაბილურობაა აუცილებელი, ურომლისოდაც საქართველოს გაუჭირდება დასახული მიზნების (ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია, და გაწევრიანება ევროატლანტიკურ სტრუქტურებში) ასრულება.

უცხოეთი

არასოდეს ვაღიარებთ რუსეთისგან უკრაინის რომელიმე ტერიტორიის ანექსიის მცდელობებს. ჩვენ მტკიცედ ვდგავართ უკრაინის მომავალ წევრობასთან დაკავშირებით 2008 წლის ბუქარესტის ნატოს სამიტის გადაწყვეტილების გვერდით, - ამის შესახებ საუბარია ნატოს წევრი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პრეზიდენტების ერთობლივ განცხადებაში. „მოვითხოვთ რუსეთმა ყველა ოკუპირებული ტერიტორიიდან დაუყოვნებლივ გაიყვანოს ჯარები და მოვუწოდებთ ყველა მოკავშირეს, არსებითად გაზარდონ უკრაინისთვის სამხედრო დახმარება“ - აღნიშნულია განცხადებაში.

* * *

ირანის დედაქალაქ თეირანის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ, „შარიფის“ უნივერსიტეტში პოლიციასა და მომიტინგე სტუდენტებს შორის შეტაკება მოხდა. **Iran International** -ის ინფორმაციით, უსაფრთხოების ძალები თავს დაესხნენ სტუდენტურ საერთო საცხოვრებელს და ცეცხლსასროლი იარაღიდანაც ისროდნენ. სხვა ცნობებში საუბარია მომიტინგეების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზის გამოყენებაზე. ირანში საპროტესტო აქციები 22 წლის ქალის, მაჰსა ამინის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო. გოგონა ზნეობის პოლიციამ ჰიჯაბის „არასათანადო ტარების“ გამო დააკავა, ის განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. საპროტესტო აქციების დაწყების შემდეგ ქვეყანაში 133 ადამიანი დაიღუპა.

* * *

აზერბაიჯანსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, ჩვენ ვგეგმავთ გაორმაგდეს გაზის ექსპორტი ევროპაში, - ამის შესახებ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა სოფიაში საბერძნეთ-ბულგარეთის გაზის ინტერკონექტორის პროექტის გახსნის ცერემონიაზე განაცხადა. „უკვე დავიწყეთ კონსულტაციები ჩვენს პარტნიორებთან „ტანაპის“ მილსადენით ტრანსპორტირებული გაზის ექსპორტის 16 მილიარდი კუბური მეტრიდან 32 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზრდასთან დაკავშირებით და ასევე „ტაპის“ საშუალებით 10-დან 20 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზრდასთან დაკავშირებით, რადგან ამის გარეშე გაძნელდება დამატებითი გაზის ექსპორტი“, - აღნიშნა ალიევმა.

* * *

ინდონეზიაში საფეხბურთო მატჩის შემდეგ მომხდარი ძალადობისა და ჭყლეტის შედეგად, სულ მცირე 174 ადამიანი დაიღუპა, 180 კი დაშავდა. საფეხბურთო კლუბების „არემასა“ და „პერსებაია სურაბაიას“ გულშემატკივრები ერთმანეთს მას შემდეგ დაუპირისპირდნენ, რაც „არემა“ ანგარიშით 3-2 დამარცხდა. წაგებული გუნდის ათასობით მხარდამჭერი მოედანზე შეიჭრა და „არემას“ რამდენიმე მოთამაშეს, რომელიც ჯერ კიდევ მოედანზე იმყოფებოდა, თავს დაესხნენ. სამართალდამცველებმა ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს, რამაც ხალხის ჭყლეტა და დახრჩობის შემთხვევები გამოიწვია. 34 ადამიანი სტადიონზე გარდაიცვალა, დანარჩენი კი საავადმყოფოში. დაღუპულთა შორის ორი პოლიციელია.

მოამზადა
ია შველიძემ

«მეწყერს, ზვავს ყოველთვის ბუნებაზე არაზომიერი ზემოქმედება იწვევს»

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

გიორგი ფუტკარაძე 2013 წლიდან სოფელ მახალაკიძეების ხელმძღვანელი იყო. შარშან ოლადაურის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლის რწმუნებულად დაინიშნა. იგი ჩვენი გაზეთის სტუმარია.

- ჯერ იყო და, სოფლის ხელმძღვანელობა მანდეს, შარშან, როცა ჩემი წინამორბედი ვახტანგ ფუტკარაძე შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად აირჩიეს, 8 სოფელსა და რამდენიმე დასახლებულ უბანს სათავეში ჩავუდექი. ეს ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობა და გამოწვევა იყო.

- რას გულისხმობთ გამოწვევაში?

- წლების განმავლობაში მამაჩემი ოლადაურის თემის ხელმძღვანელი იყო. სოფელზე, ადამიანებზე მზრუნველი ხელმძღვანელის სახელით წავიდა წუთისოფლიდან. დედა სოფლის ექთანი და ბებიაქალია. 60 წელს გადაცილებული ჩვეულ საქმეს არც ახლა ღალატობს. მახალაკიძეების ბაგა-ბაღის ექთანი, თემის სამედიცინო პუნქტშიც მუშაობს. ჩემს მსგავსად დანარჩენი შვილების სწავლა-განათლებაზე, ნორმალური ოჯახის შექმნაზე ზრუნვა არ შეუწყვეტია. წუთისოფელში მუდმივი არაფერია. თანამდებობიდან წასვლის შემდეგ მამის სადარი ავტორიტეტი მეც მსურს დავტოვო. გონიერი მიდგომით, ძალების მობილიზაციით იმ პასუხისმგებლობასა და გამოწვევებს მსურს გავუმკლავდე, რაც სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობაზეა ორიენტირებული.

- რა პროგრამები და პროექტებია ამ ეტაპზე გადასაწყვეტი?

- გასული საუკუნის ბოლო ათწლეულსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში ყველა სოფლის მსგავსად, ჩვენს სოფლებსაც ხელი მოაკლდა. გამოცოცხლების პროცესი დაიწყო. გორში სოფლის სახლი მოეწყო, სკოლის ახალი შენობა დაიდგა, მაწყვალთაში თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი საჯარო სკოლა გვაქვს. შეკეთდა საუკუნოვანი ტრადიციების მქონე ოლადაურის სკოლის შენობა. მახალაკიძეების საჯარო სკოლას 1993 წლის 27 სექტემბერს აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული ფრიდონ მახარაძის სახელი მიეკუთვნა. სტიქიამ შეიწირა პაპოშვილების საჯარო სკოლის ხის შენობა, მის სანაცვლოდ ორსართულიანი კაპიტალური შენობა აშენდა. საზოგადოებას, თქვენი გაზეთის მკითხველს, კარგად ახსოვს ასლან აბაშიძის მმართველობის პერიოდში სოფელ მახალაკიძეების ტერიტორიაზე მცირე ჰესის ექსპლუატაციაში გაშვება. დამოუკიდებელი საქართველოს ენერგეტიკის პირმშო ახლაც გამართულად მუშაობს და დენს იძლევა. ისიც არ დაგავიწყდეს, რომ საუკუნის მშენებლობა, შუახევიჰესის გვირაბები ჩვენი თემის ტერიტორიიდან იღებს სათავეს და მდინარე ჩირუხისწყალი ჯერ სხალთის, შემდეგ დიდაჭარის წყალსაცავებში გადაჰყავს. მდინარე დოლაბისწყალი ჩვენი თემის ტერიტორიებიდან ჩამომდინარე ნაკადულებით საზრდოობს. მალე აქაც მცირე ჰესი აშენდება. სამუშაოები დაწყებულია.

- მთა სანალიაზე მიკროჰესის მშენებლობა იგეგმებოდა...

- სანალია მარტო პირუტყვის საზაფხულო საძოვარი არ არის. მალე ეს ტერიტორია სანიმუშო ტურისტულ ობიექტად იქცევა. ისტორიკოსების, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მკვლევარებს თუ ვერწმუნებით, სანალიას მთებზე გადმოსვლით წმინდა ანდრია პირველწოდებული, სხვა მოციქულები I საუკუნეში დიდაჭარაში შემოვიდნენ. ამ მთაშია უძველესი გამოქვაბულები. ტერიტორია ტოპონიმ «კილდიჯვარით» არის ცნობილი. აქაური მთები სიმაღლითაც გამორჩეულია. უპრიანი და დროული წამოწყებაა ამ მთის ელექტრიფიცირება. საამისოდ, საწყის ეტაპზე, მიკროჰესის მშენებლობა მიზანშეწონილად მივიჩნიეთ. შუახევის მუნიციპალიტეტის მერიამ პროექტიც შეისყიდა, მაგრამ გათვლა-გაანგარიშების შემდეგ 8 კილომეტრზე ღია ელექტროსადენების გაყვანა ვამჯობინეთ. ჰესის მშენებლობა ძვირი არ ჯდებოდა, მაგრამ შემდგომი მოვლა-შენახვა დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

- სხვა პროგრამებსა და პროექტებზე რას იტყვით?

- სოფელი პაპოშვილები სასმელი და სარწყავი წყლის გარეშე გვრჩებოდა. აქ გამოკეტილი, დაცარიელებული სახლი იშვიათობაა. ამიტომაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით, მდინარე სანალიას წყლის აუზიდან მაღალი გამტარობის პოლიეთილენის მილებით სასმელი წყალი გამოგვყავს. პროექტი ორწლიანი იყო, მაგრამ კონკურსში გამარჯვებული ფირმის, სოფლის მოსახლეობის აქტიურობით მის დამთავრებას წელსვე ვაპირებთ. იმ ხუთი ბაგა-ბაღიდან, რომლებიც შუახევის სოფლებში პირველად ამოქმედდა, მახალაკიძეებისაც იყო. ხის შენობა სკოლამდელი დაწესებულებისთვის შეუფერებელი გამოდგა. სოფელში კაპიტალური ბაგა-ბაღი შენდება. ის მომავალ წელს ამოქმედდება. სასმელი წყლის პრობლემა იყო სოფელ ოლადაურის მომიჯნავე ჯუმუშაურის უბანში. ეს პრობლემა უკვე გადაწყვეტილია. მილები ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით შევიძინეთ, დანარჩენი სამუშაოები ჯუმუშაურელებმა საინიციატივო წესით შეასრულეს. ამაგს ვერ დავუკარგავთ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინა მოწვევის მაჟორიტარ დეპუტატ გენადი მიქელაძეს. წლევანდელი გვალვის დროს სოფელ გორში სასმელი წყლის დეფიციტი შეიქმნა, არტეზიული ჭის

> ***„ ამ მთაშია უძველესი გამოქვაბულები. ტერიტორია ტოპონიმ «კილდიჯვარით» არის ცნობილი. აქაური მთები სიმაღლითაც გამორჩეულია. უპრიანი და დროული წამოწყებაა ამ მთის ელექტრიფიცირება. საამისოდ, საწყის ეტაპზე, მიკროჰესის მშენებლობა მიზანშეწონილად მივიჩნიეთ. შუახევის მუნიციპალიტეტის მერიამ პროექტიც შეისყიდა, მაგრამ გათვლა-გაანგარიშების შემდეგ 8 კილომეტრზე ღია ელექტროსადენების გაყვანა ვამჯობინეთ***

დან ჩამომდინარე ნაკადულებით საზრდოობს. მალე აქაც მცირე ჰესი აშენდება. სამუშაოები დაწყებულია.

- მთა სანალიაზე მიკროჰესის მშენებლობა იგეგმებოდა...

- სანალია მარტო პირუტყვის საზაფხულო საძოვარი არ არის. მალე ეს ტერიტორია სანიმუშო ტურისტულ ობიექტად იქცევა. ისტორიკოსების, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მკვლევარებს თუ ვერწმუნებით, სანალიას მთებზე გადმოსვლით წმინდა ანდრია პირველწოდებული, სხვა მოციქულები I საუკუნეში დიდაჭარაში შემოვიდნენ. ამ მთაშია უძველესი გამოქვაბულები. ტერიტორია ტოპონიმ «კილდიჯვარით» არის ცნობილი. აქაური მთები სიმაღლითაც გამორჩეულია. უპრიანი და დროული წამოწყებაა ამ მთის ელექტრიფიცირება. საამისოდ, საწყის ეტაპზე, მიკროჰესის მშენებლობა მიზანშეწონილად მივიჩნიეთ. შუახევის მუნიციპალიტეტის მერიამ პროექტიც შეისყიდა, მაგრამ გათვლა-გაანგარიშების შემდეგ 8 კილომეტრზე ღია ელექტროსადენების გაყვანა ვამჯობინეთ. ჰესის მშენებლობა ძვირი არ ჯდებოდა, მაგრამ შემდგომი მოვლა-შენახვა დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

- სხვა პროგრამებსა და პროექტებზე რას იტყვით?

- სოფელი პაპოშვილები სასმელი და სარწყავი წყლის გარეშე გვრჩებოდა. აქ გამოკეტილი, დაცარიელებული სახლი იშვიათობაა. ამიტომაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით, მდინარე სანალიას წყლის აუზიდან მაღალი გამტარობის პოლიეთილენის მილებით სასმელი წყალი გამოგვყავს. პროექტი ორწლიანი იყო, მაგრამ კონკურსში გამარჯვებული ფირმის, სოფლის მოსახლეობის აქტიურობით მის დამთავრებას წელსვე ვაპირებთ. იმ ხუთი ბაგა-ბაღიდან, რომლებიც შუახევის სოფლებში პირველად ამოქმედდა, მახალაკიძეებისაც იყო. ხის შენობა სკოლამდელი დაწესებულებისთვის შეუფერებელი გამოდგა. სოფელში კაპიტალური ბაგა-ბაღი შენდება. ის მომავალ წელს ამოქმედდება. სასმელი წყლის პრობლემა იყო სოფელ ოლადაურის მომიჯნავე ჯუმუშაურის უბანში. ეს პრობლემა უკვე გადაწყვეტილია. მილები ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით შევიძინეთ, დანარჩენი სამუშაოები ჯუმუშაურელებმა საინიციატივო წესით შეასრულეს. ამაგს ვერ დავუკარგავთ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინა მოწვევის მაჟორიტარ დეპუტატ გენადი მიქელაძეს. წლევანდელი გვალვის დროს სოფელ გორში სასმელი წყლის დეფიციტი შეიქმნა, არტეზიული ჭის ამოქმედებით ეს პრობლემა მოიხსნა. ავარიული იყო ოლადაურის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის შენობა. იგი ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით შეკეთდა და თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი იერ-სახე აქვს. კეთილმოეწყო სოფელ ოლადაურისა და მაწყვალთის ცენტრები. რამდენიმე წლის წინ ოლადაურის, მაწყვალთის, მახალაკიძეების ტერიტორიებზე ჯვრები აღიმართა. ახლა ჩვენგან გადასული ბიზნესმენები სოფელ ოლადაურის ცენტრში ეკლესიის მშენებლობას აპირებენ.

- თემის ტერიტორიაზე უკვე მოქმედი გამონათლევის ეკლესია გაქვთ...

- რაც მეტი - მით უკეთესი. გამონათლევის ტაძარი სოფელ ოლადაურის ტერიტორიაზე კია, მაგრამ... 3-5 კილომეტრის მოშორებით. თუ სოფლის ცენტრში ტაძარი იქნება, მრევლიც იოლად მოილოცავს, მათ შორის ჩემი შვილებიც - მარიამი და ქეთევანი. მარიამი უმაღლესდამთავრებულია, ქეთევანი - სტუდენტი.

- ბიზნესმენები ახსენეთ... როგორია სხვა მიმართულებით მათი თანადგომა?

- ტრადიციული სახალხო დღესასწაული «მარეთობა» წამოწყების დღიდან ჩვენი თემის ტერიტორიაზე იმართება. ნათლობა, მართლმადიდებლობისკენ დაბრუნების სხვა რიტუალები (ჯვრის აღმართვა, წყალკურთხევა) მეტწილად ჩვენს სოფლებში მიმდინარეობს. მარეთის ხეობის ზეიმად იქცა მახალაკიძეების ციხეზე ჯვრის აღმართვა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საგენტოსა და აჭარაში მომუშავე ისტორიკოსებისთვის მაშინ გახდა ცნობილი, რომ მახალაკიძეებში ციხის ნაშთები იყო შემორჩენილი. სხვათა შორის, ეს ინფორმაცია საზოგადოებას თქვენმა გაზეთმა აუწყა. ციხეზე ჯვრის აღმართვის რიტუალის გაშუქებისთვის ტელევიზიებმა რატომღაც თავი შეიკავეს. ბიზნესმენები აქაც აქტიურობდნენ. აქტიურობენ ასევე «მარეთობის» დღესასწაულის ორგანიზებაში. სხვა მხრივაც თანადგომას არ გვაკლებენ. უდავოდ დიდია ბათუმში, თბილისში მომუშავე მეცნიერების, წამყვანი კლინიკების ექიმების მხარდაჭერა. თბილისში არსებული კარდიოლოგიური კლინიკის წამყვანი ექიმია ოლადაურელი ბონდო მაკარაძე. მისი თაოსნობით ცნობილი კარდიოლოგები შუახევში იყვნენ და მრავალ პაციენტს უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარეს. ამას ვუფასებთ ფარმაცევტული კომპანია «ჰეკატეს» ხელმძღვანელს ვლადიმერ მახარაძეს, მის ძმას, ბიზნესმენ ზურაბ მახარაძეს, მახალაკიძეებელ ოთარ მახარაძეს, მაწყვალთელ მალხაზ თავდგირიძეს, კარაპეტელ ზურაბ კეკელიძეს, გორელ ზურაბ ფუტკარაძეს. ეს უკანასკნელი ყოველწლიურად საახალწლო საჩუქრებს უგზავნის თემის ტერიტორიაზე არსებული სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებს, თანხებს არ იშურებს რიგი სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად. რამდენიმე წელია გაზეთ «შუახევის» ერთ ნომერსაც ასპონსორებს. ასეთ ქველმოქმედ, მშობლიურ კუთხეზე მზრუნველ ბიზნესმენებს, ექიმებს უფალმა ხელი მოუმართოს.

- სტიქია, განსაკუთრებით მეწყრული პროცესები თემში შემავალი სოფლებისთვისაც დამახასიათებელია, რა პრევენციული ღონისძიებები ტარდება?

- მახალაკიძეების მკვიდრი ვარ. მოსწავლე ვიყავი, როცა შუახევის რაიონის მაშინდელი გამგებლის ანზორ გოგიტიძის ინიციატივით მთა სანალიაზე საავტომობილო გზა გაიყვანეს. საკომუნიკაციო საშუალება დაბურულ ტყეში გადიოდა. ახლა ეს ტერიტორია მოშიშვლებული ფერდობია. ზოგჯერ ადამიანები თავად ვქმნით წინაპირობებს სტიქიური მოვლენების განვითარებისთვის. ხე-ტყის არაზომიერმა მოხმარებამ მრავალ ადგილზე მეწყრული პროცესები წარმოშვა. ამას ემატება საცხოვრებელი სახლების ისეთ ტერიტორიაზე აშენება, რომელიც ეროზირებულია. სავსებით მართალი არიან გეოლოგები, როცა ზოგიერთ ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვას არ იძლევიან. ასეთი ღონისძიება ზვავსა და მეწყერს საგრძნობლად შეამცირებს. უკვე რამდენიმე წელია შუახევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხები გამოიყოფა ფერდსამაგრი სამუშაოებისთვის, სანაღვრე არხის მოსაწყობად, ადგილობრივი საავტომობილო გზების მოვლა-შენახვისთვის. კოკისპირული წვიმის შემდეგ ნიაღვარი მოდიოდა 15 გრადუსზე მეტი დაქანების გზაზე. ბეტონის საფარის დაგების შემდეგ გზები აღარ ირეცხება. ბეტონი წვიმის წყალსაც კარგად ისრუტავს. ხე-ტყის მოხმარებაში გარკვეული კონტროლი დამყარდა. მოსახლეობის რაოდენობის შემცირებამ საგრძნობლად შეამცირა სოფლის შემოგარენში არსებული ტყეებიდან საშეშე მერქნის გამოტანა. შემოდგომის პირზე, ფოთოლცვენამდე მოსახლეობა ხეებს ჩამოსხეპავდა და პირუტყვის ნეკერს ამზადებდა. 15-20 წელია ეს პროცესიც შეჩერდა. მეწყერს, ზვავს ყოველთის ბუნებაზე არაზომიერი ზემოქმედება იწვევს.

- ოლადაურის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე გადის შუახევი-ჩირუხის საავტომობილო გზა. სასიცოცხლო არტერიისა და შიდასასოფლო გზების კეთილმოწყობა როგორ მიმდინარეობს?

- უკვე ჩვენს ადმინისტრაციულ ერთეულზე გამავალი გზის ნაჭივრი-ყურთისონის თითქმის 10-კილომეტრიან მონაკვეთზე ასფალტის საფარია დაგებული. წელს დაიწყო და მალე დასრულდება გამონათლევი-ოლადაურის 3,1-კილომეტრიანი საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია და ასფალტის დაგება. ბეტონის საფარია დაგებული პაპოშვილები-გორის, ოლადაური-მაწყვალთა-კარაპეტის, სოფელ მახალაკიძეებში მისასვლელ გზებზე. თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი ხიდი გაკეთდა მდინარე ჩირუხისწყალზე, რომელიც სოფელ მახალაკიძეების მოსახლეობას წაადგება.

- ისტორიული ძეგლები, სხვა ღირსშესანიშნაობანი უცხოელ და ადგილობრივ ტურისტებს იზიდავს. საამისოდ რა კეთდება?

- სოფელ პაპოშვილებში შუშანა და რევაზ ფუტკარაძეებმა საოჯახო სასტუმრო «მარეთის» მოწყობა რომ დაიწყეს, ზოგიერთები აღმაცერად უყურებდნენ. ახლა ეს ობიექტი სანიმუშოა და მრავალ ვიზიტიორს მასპინძლობს, მათ შორის, უცხოეთის შორეული ქვეყნებიდან. უკვე დადგა დრო, რომ ტურისტულ ობიექტად ვაქციოთ კილდიჯვრის გამოქვაბულები, საამისოდ ამ ტერიტორიაზე საავტომობილო გზის გაყვანა დროული იქნება, რესტავრაცია-კონსერვაციას, გზაბილიკის გაკეთებას ითხოვს მახალაკიძეების ციხე. ტურისტებისთვის საინტერესო სანახაობად რჩება მაწყვალთის გზა, იქ არსებული შევარდნის კლდე. ტურიზმი მარტო სანახაობითი ობიექტებით ვერ განვითარდება. თანამედროვე სტანდარტების შესაფერისად მოსახლეობა საცხოვრებელ სახლებს იწყობს. მეტი მნიშვნელობა ენიჭება ფოლკლორის პოპულარიზაციას. ჩვენი თემის მკვიდრები ბადრი და ავთანდილ დარჩიძეები ამ მხრივ გამორჩეულები არიან. ბადრი უხუცესთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ «ფესვებს», ხოლო ავთანდილი - ფოლკლორულ ანსამბლ «მარეთს» ხელმძღვანელობენ. ძირითადი კონტინგენტი ოლადაურის თემის სოფლებში მცხოვრები ხელოვანები არიან. მათი რეპერტუარი ტურისტების მოწონებას იმსახურებს. ადგილობრივი კულინარია იყო და იქნება გამორჩეული. წელს ტურისტების მოძალება იგრძნობოდა. იმედია, მომავალში მათი დაინტერესება კიდევ უფრო მოიმატებს.

„საარჩევნო კოდექსსა“ და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტის განხილვა დაიწყო

პარლამენტმა ეს სამუშაო ევროკომისიის 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულების გეგმის ფარგლებში დაიწყო. საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებებზე გუშინ იურიდიულ საკითხთა კომიტეტში იმსჯელეს. პროექტი სესიაზე განსახილველად ამ კვირას გავა.

პროექტის მიხედვით, 2024 წლიდან საქართველო ელექტრონულ საარჩევნო სისტემაზე გადავა, რაც ელექტრონული საშუალებებით საარჩევნო უბანზე მისულ ამომრჩეველთა რეგისტრაციასა და იდენტიფიცირებას, ხმის მიცემას, მათ დათვლასა და შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცედურებს გულისხმობს. იმ უბნებზე, სადაც ელექტრონული მარეგისტრირებელი და მთვლელი აპარატურა არ იქნება, ხმების ამსახველი ბიულეტენები სრულად გაციფრულდება და ცესკოს ოფიციალურ ვებპორტალზე აიტვირთვება.

„საარჩევნო კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებებით, ადმინისტრაციული რესურსის უკანონო გამოყენებაზე არსებული 2000-ლარიანი ჯარიმა გაორმაგდება და 4000 ლარი გახდება, ადმინისტრაციული რესურსის უკანონო გამოყენებაზე პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების ვადა კი 2 თვიდან 3 წლამდე იზრდება. ამავე ცვლილებებით, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაწესებისთვის განსაზღვრული 30-დღიანი ვადა ნახევრდება და 15 დღედ განისაზღვრება.

კანონის პროექტის თანახმად, თუ საარჩევნო უბანში დათვლის შედეგად დაფიქსირდა 5 ან 5-ზე მეტი, ან 10 ან 10-ზე მეტით ნაკლები ბიულეტენი მისულ ამომრჩეველთა რაოდენობასთან შედარებით, საარჩევნო უბანი გადათვლას, ამომრჩეველი კი, ვინც გადასატანი ყუთით ისარგებლებს, მარკირებას დაექვემდებარება. იზრდება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ქმედების საოლქო საარჩევნო კომისიაში გასაჩივრების ვადა და, ნაცვლად 2 დღისა, 3 დღით განისაზღვრება. შეზღუდვები დაუწესდებათ პროფესიული ნიშნით არჩეულ საოლქო და საუბნო კომისიების წევრებს მათი ნეიტრალიტეტისა და მიუკერძოებლობის განსამტკიცებლად. წესდება საუბნო საარჩევნო კომისიის პროფესიული ნიშნით არჩეულ წევრთა სერტიფიცირება და შეიქმნება სერტიფიცირებულ კომისიის წევრთა ბაზა.

ცვლილებების პროექტით ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციათა მანდატი ფართოვდება - მათ, შესაბამისი რეგისტრაციის გავლის საფუძველზე, არასაარჩევნო პერიოდში ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრების შესაძლებლობა ექნებათ.

რაც შეეხება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანულ კანონში დაგეგმილ ცვლილებებს, ინიცირებული პროექტის მიხედვით, თითოეული პარტიის მიერ წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების საერთო რაოდენობის ზედა ზღვარი ნახევრდება და არ იქნება საქართველოს წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0,05%-ზე მეტი (ნაცვლად არსებული 0,1%-ისა), ანუ სადღეისოდ თითოეული პარტიისთვის არსებული წლის განმავლობაში ხარჯვითი 60 მილიონ ლარიანი ზედა ზღვარი, 30 მილიონიან ზედა ზღვრამდე მცირდება.

ამირან გურიელიძე

რა შემთხვევაში არიან ძაღლები აგრესიულები – კინოლოგის რჩევები

ზიქრია დავლაძე 579 25 25 72

მიუხედავად იმისა, რომ შინაურ ცხოველებს შორის ძაღლი ადამიანის ყველაზე ერთგულ მეგობრად ითვლება, ბოლო პერიოდში ხშირია ამ ცხოველის პატრონზე ან უცხო პირზე თავდასხმის ფაქტი. გავრცელებულმა ინფორმაციებმა მოსახლეობას, განსაკუთრებით კი მათ, ვისაც სახლში ძაღლები ჰყავთ, თავსატეხი გაუჩინა. უმეტესობა დარწმუნებულია, რომ ოთხფეხა მეგობარი არასოდეს დაესხმება თავს

რასაკვირველია, განსაკუთრებით საყურადღებოა კინოლოგების აზრი. ისინი კი თანხმდებიან იმაზე, რომ არსებობს ძაღლის გარკვეული ჯიშები, რომლებიც მეტ-ნაკლებად საფრთხეს უქმნიან გარშემომყოფებს. აღნიშნავენ იმასაც, რომ აგრესიულობა და ძაღლის ხასიათი დამოკიდებულია მის აღზრდასა და იმ გარემოზე, სადაც ცხოველი იზრდება.

გაზეთი „აჭარა“ ამ თემაზე კინოლოგ ***ელიზბარ გურგენიძეს*** *ესაუბრა. მან აღნიშნა, რომ გაწვრთნა აუცილებელია, რათა ძაღლი იყოს მშვიდი და გარშემომყოფებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდეს.*

- მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო ერთი წელია, ძაღლების გაწვრთნასთან დაკავშირებით მოსახლეობის მხრიდან მომართვიანობა გაზრდილია. ეს მეტად სასიხარულო ფაქტია. რაც უფრო გაწვრთნილია ძაღლი, მით უფრო მშვიდი და გაწონასწორებული ხასიათი აქვს და არ ერჩის გარშემომყოფებს, უსაფრთხოა უცხო ადამიანებისთვისაც. ზოგადად, ძაღლის ხასიათი ასეთია - იგი ყეფს და ავდება მაშინ, როდესაც საფრთხეს გრძნობს ადამიანისგან, ან ამა თუ იმ პიროვნებას აქვს გამძაფრებული შიში ცხოველის მიმართ. ამ შემთხვევაშიც ძაღლი სწორედ მას დაუყეფს, რადგან ფიქრობს, რომ ის რაღაცას დაუშავებს.

- **ძირითადად, თქვენგან რას ითხოვენ პატრონები, როდესაც ძაღლები მოჰყავთ?**

- თუ ცხოველს რაიმე ტიპის აგრესია აქვს, უნდათ, რომ მინიმუმამდე შევუმცირო. ჩვენ ვცდილობთ, სხვადასხვა მეთოდით ამის გაკეთებას და პატრონისთვის უკვე გაწვრთნილი ძაღლის ჩაბარებას. რა დრო დასჭირდება, ზუსტად არავინ იცის. ყველა ძაღლი ინდივიდუალურია.

- **გასაწვრთნელად რომელი ჯიშის ძაღლები მოჰყავთ ძირითადად?**

- ჩემს პრაქტიკაში გერმანული ნაგაზი და ბელგიური მალინო ის ძაღლებია, რომლებსაც ყველაზე ხშირად ვწვრთნი, რადგან ისინი სხვა ჯიშებისგან განსხვავებით, ჭკვიანები არიან, მათ მეტი შესაძლებლობები აქვთ და მარტივად ვიმორჩილებ. იშვიათად მოჰყავთ პიტბულის ჯიშის ძაღლი, მე საერთოდ არ მყოლია, არც როტვეილერი ყოფილა ჩემს პრაქტიკაში. ეს ორი ჯიში განსაკუთრებით აგრესიულია. ლამაზ ძაღლებად ითვლებიან და სწორედ ამ მიზეზის გამო ჰყავთ მოთვინიერებული, თუმცა მათი დამორჩილება ბოლომდე შეუძლებელია. იმ შემთხვევაში, თუ პატრონს არ აქვს დრო, გაასეირნოს და კვირაში ერთხელ

> **„შიშს თუ ვერ გრძნობს ადამიანისგან და მასში საფრთხეს ვერ ხედავს, თავს არ დაესხმება. როდესაც ძაღლი ყეფს ან დარბის, უნდა ვიფიქროთ, რომ ტერიტორიას იცავს და იქ უცხოს შეშვების წინააღმდეგია. ყურადღება არ უნდა მივაქციოთ და აგრესიითვე არ ვუპასუხოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მდგომარეობა შესაძლოა დამძიმდეს. თუ ადამიანს არ ეშინია და ძაღლი მისგან შიშს ვერ გრძნობს, არც ძაღლი ერჩის**

მაინც გაავარჯიშოს ცხოველები, შესაძლოა, პატრონსაც არ დაემორჩილოს.

- **როდის ხდებიან ცხოველები აგრესიულები?**

- შიშს თუ ვერ გრძნობს ადამიანისგან და მასში საფრთხეს ვერ ხედავს, თავს არ დაესხმება. როდესაც ძაღლი ყეფს ან დარბის, უნდა ვიფიქროთ, რომ ტერიტორიას იცავს და იქ უცხოს შეშვების წინააღმდეგია. ყურადღება არ უნდა მივაქციოთ და აგრესიითვე არ ვუპასუხოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მდგომარეობა შესაძლოა დამძიმდეს. თუ ადამიანს არ ეშინია და ძაღლი მისგან შიშს ვერ გრძნობს, არც ძაღლი ერჩის.

- **უსაფრთხოების მიზნით, გასეირნებისას უნდა ჰქონდეს თუ არა ძაღლებს სპეციალური დამცველი, ე.წ. ალიკაპი?**

- როცა ალიკაპს უკეთებ, რაც არ უნდა მშვიდი იყოს, ძაღლი ავდება. მე ამის მომხრე არ ვარ, პირიქით, მას არ უნდა ჰქონდეს რაიმეს შიში, არ უნდა იყოს შებოჭილი, არ გრძნობდეს, რომ ადამიანები მისგან გარბიან. უპირველეს ყოვლისა, ცხოველს უნდა ჩაუტარდეს სტერილიზაცია. ეს აგრესიასაც ჩაახშობს მათში და უამრავი დაავადებისგანაც დაიცავს, გარდა ამისა, იმაზე მეტხანს იცოცხლებენ, ვიდრე სტერილიზაციის გარეშე დარჩენილი ცხოველები. ბევრი მიტოვებული ძაღლია ქუჩაში. მათი ასე მიგდება დასჯადი უნდა გახდეს. ისინი მრავლდებიან და დადიან ერთი ადგილიდან მეორეში. თავისთავად აგრესია აქედანაც ყალიბდება. შეგახსენებთ, რომ 23 სექტემბერს, თბილისში პიტბულმა სამი ადამიანი დაგლიჯა. გავრცელებული ინფორმაციით, თავდაპირველად ძაღლი პატრონს, შემდეგ კი მეზობლებს დაესხა თავს. მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით, პოლიციამ ძაღლის ლიკვიდაცია მოახდინა.

ჩაქვის ციტრუსოვანთა სანერგე მეურნეობის ბაზაზე არსებული სარეალიზაციო პუნქტი ფერმერებს სრული დატვირთვით ემსახურება

დარინა ბაბაიძე 27 48 93

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ ჩაქვის ციტრუსოვანთა სანერგე მეურნეობის ბაზაზე არსებული სარეალიზაციო პუნქტი ფერმერებს სრული დატვირთვით ემსახურება. „აგროსერვის ცენტრის“ დირექტორის მოადგილე იოსებ აბულაძე ციტრუსის ნერგების რეალიზაციის პროცესს ადგილზე გაეცნო

ციტრუსის ნერგების შეძენის მსურველ ფერმერებს, შესაძლებლობა აქვთ, ადგილზე დაათვალიერონ და შეიძინონ მათვის სასურველი ნერგი. სარეალიზაციოდ მზად არის მანდარინის, ფორთოხლის, ლიმონისა და გრეიპფრუტის მაღალხარისხიანი ნერგები.

სარეალიზაციო პუნქტში მიმდინარე ციტრუსის ნერგების რეალიზაციის პროცესთან დაკავშირებით, კომენტარი ვთხოვეთ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ ჩაქვის ციტრუსოვანთა და გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობების პროგრამების ხელმძღვანელ ლაშა მელაძეს.

- როგორც მოგეხსენებათ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ ჩაქვის ციტრუსოვანთა სანერგეში ყოველწლიურად ხდება ციტრუსის სხვადასხვა ინტროდუცირებული და დარაიონებული ჯიშებიდან ნერგის წარმოება, რომლებიც გამოირჩევიან უხვმსხმოიარობით, ყინვისა და მავნებელ-დაავადებებისადმი გამძლეობით. მიმდინარე წელს სარეალიზაციოდ გამოტანილია სტანდარტული, 9250 ძირი ციტრუსის სხვადასხვა სახეობისა და ჯიშის ნერგი, მათ შორისაა: ლიმონი მეიერი, გრეიპფრუტი რიო რედი, გრეიპფრუტი სტარ რუბი, ფორთოხალი ვაშინგტონ ნაველი, ფორთოხალი ნაველინა, მანდარინი ივასაკი, მანდარინი ტაგუჩი ვასე, მანდარინი მიჰო ვასე, მანდარინი ოკიცუ ვასე, მანდარინი ფართოფოთლოვანი უნშიუ. ციტრუსის ნერგის განსაზღვრული სარეალიზაციო ფასია ოთხი ლარი, ნერგის რეალიზაცია ხდება სანერგე ტერიტორიიდან და ასევე სანერგეში არსებული სარეალიზაციო პუნქტიდან, რომელიც ბათუმი-ჩაქვის მაგისტრალის მარცხენა მხარეს მდებარეობს (იაპონური ბაღის ფართობში). ადგილზე კონსულტაციას აწარმოებს მეურნეობის პრაქტიკოსი, კვალიფიციური აგრონომი. ფერმერებს უხსნიან, თუ როგორ უნდა დაირგოს ციტრუსი აგროვადებში, ყველა აგროტექნოლოგიური ღონისძიებების დაცვით, ასევე, რეკომენდაციას უწევენ გაშენებული ბაღის, შემდგომი მოვლისა და გასატარებელი სამუშაოების შესახებ, - გვითხრა ლაშა მელაძემ.

უკრაინა

რუსული ძალები უკრაინის ოკუპირებულ რაიონებში კარდაკარ შემოწმებას ახორციელებენ და სამხედრო სამსახურში გაწვევისთვის შესაბამისი ასაკის მქონე ახალგაზრდებს ეძებენ, - ამის შესახებ უკრაინის ოპერატიული სარდლობა „სამხრეთი“ იუწყება. მათივე ინფორმაციით, რუსულმა ძალებმა ასევე გააძლიერეს საბუთების შემოწმება საგუშაგოებზე, რაც „მაქსიმალურად ართულებს“ ოკუპირებული ტერიტორიების დატოვებას.

* * *

უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა, გასული დღის განმავლობაში, ქვეყნის სამხრეთით მტრის Ka-52 ტიპის ვერტმფრენი, 40 ოკუპანტი და 2 ტანკი გაანადგურეს, - ამის შესახებ ოპერატიული სარდლობა „სამხრეთი“ იუწყება. მათივე ცნობით, უკრაინის სარაკეტო და საარტილერიო დანაყოფებმა ერთ დღეში 340-ზე მეტი საცეცხლე ამოცანა შეასრულეს. „ჩვენმა ავიაციამ მტერს 7 დარტყმა მიაყენა, ბერისლავის რაიონში საჰაერო თავდაცვის ძალებმა მტრის Ka-52 ტიპის ვერტმფრენი ჩამოაგდეს. სარაკეტო და საარტილერიო დანაყოფებმა 340-ზე მეტი საცეცხლე ამოცანა შეასრულეს. განადგურდა 40 რაშისტი, 2 ტანკი, 7 ერთეული საავტომობილო და ჯავშანტექნიკა“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

* * *

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ხერსონის ოლქის ორი დასახლების - არხანგელსკისა და მიროლიუბოვკის გათავისუფლების შესახებ ინფორმცია ოფიციალურად დაადასტურა. „მადლობა ჩემი მშობლიური კრივოი როგის 129-ე ბრიგადის ჯარისკაცებს, რომლებიც გამოირჩეოდნენ კარგი შედეგებით და გაათავისუფლეს არხანგელსკი და მიროლიუბოვკა“, - განაცხადა ზელენსკიმ. შეგახსენებთ, პირველ ოქტომბერს უკრაინამ დონეცკის ოლქის ქალაქი ლიმანი გაათავისუფლა, რომელიც რუსულმა ძალებმა მაისში დაიპყრეს და დონეცკის ოლქის ჩრდილოეთში ოპერაციებისთვის ლოჯისტიკურ და სატრანსპორტო ჰაბად იყენებდნენ.

* * *

აშშ-ის თავდაცვის მდივანი ლოიდ ოსტინი აცხადებს, რომ სჯერა, უკრაინა მიაღწევს პროგრესს ხერსონის ოლქში, რადგან უკრაინელები აგრძელებენ რუსეთის შეჭრის წინააღმდეგ ბრძოლას, რაც ბრძოლის ველზე დინამიკის ცვლილებას იწვევს. ოსტინის შეფასებით, ეს ცვლილება განპირობებულია უკრაინელი ჯარისკაცების ცოდნითა და გამოცდილებით, აშშ-ისა და ნატოს მოკავშირეების მიერ მოწოდებული იარაღის სტრატეგიული გამოყენებით, კონკრეტულად კი მათ მიერ მაღალი მობილურობის საჰაერო სარაკეტო სისტემების - HIMARS-ის გამოყენებით. „რასაც ჩვენ ახლა ვხედავთ, არის ერთგვარი ცვლილება ბრძოლის ველზე დინამიკაში. მათ ძალიან, ძალიან კარგად წარმოაჩინეს თავი ხარკოვის ოლქში და შესაძლებლობებით ისარგებლეს. ბრძოლა ხერსონის ოლქში შედარებით ნელა მიმდინარეობს, მაგრამ ისინი პროგრესს აღწევენ“, - აღნიშნა ოსტინმა. მისი თქმით, რთულია იმის პროგნოზირება, თუ რა მოხდება უკრაინაში, მაგრამ აშშ „გააგრძელებს უკრაინელების დახმარებას მანამ, სანამ საჭირო იქნება“.

* * *

უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა დონეცკის ოლქის სოფელი ტორსკოე გაათავისუფლეს, - ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების აღმოსავლეთის დაჯგუფების სპიკერმა სერგი ჩერევატიმ განაცხადა. ლიმანის მიმართულებით დიდი რაოდენობით ოკუპანტების ალყაში მოქცევის შესახებ ინფორმაციაზე კომენტირებისას, ჩერევატიმ აღნიშნა, რომ „ზოგიერთი მათგანი ფიზიკურად განადგურდა, ზოგი - ტყვედ აიყვანეს, ზოგიერთმა კი ტერიტორიის დატოვება შეძლო“. „ახლა ზოგიერთი მათგანი ცდილობს კრემენაიაში თავდაცვას. შესაბამისად, ჩვენი ქვედანაყოფები აგრძელებენ იქ მუშაობას, რადგან ტყეებში მათი ჯგუფებია დარჩენილი“, - აღნიშნა სერგი ჩერევატიმ.

* * *

პუტინის მიერ მობილიზაციის პროცესში პრობლემების უჩვეულოდ სწრაფი აღიარება ხაზს უსვამს მობილიზაციის დისფუნქციას მისი პირველი კვირის განმავლობაში, - ამის შესახებ გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროს ანგარიშშია აღნიშნული. „29 სექტემბერს პრეზიდენტმა პუტინმა სიტყვით მიმართა თავის ეროვნული უშიშროების საბჭოს „ნაწილობრივი მობილიზაციის“ შესახებ, რომელიც მან 21 სექტემბერს გამოაცხადა. მისი თქმით: „სამობილიზაციო კამპანიის დროს ბევრი კითხვა ჩნდება და ჩვენი დაუყოვნებლივ უნდა გამოვასწოროთ ჩვენი შეცდომები და არ გავიმეოროთ ისინი. პუტინის მიერ პრობლემების უჩვეულოდ სწრაფი აღიარება ხაზს უსვამს მობილიზაციის დისფუნქციას მისი პირველი კვირის განმავლობაში. ადგილობრივი ოფიციალური პირებისთვის, სავარაუდოდ, გაურკვეველია კამპანიის ზუსტი ფარგლები და სამართლებრივი დასაბუთება“, - აცხადებენ ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროში.

პირველად – აჭარის მთიანეთის ისტორიაში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

მალე, აჭარის მასშტაბით, შუახევის მუნიციპალიტეტში გაიმართება ახალგაზრდული კინოფესტივალი, რომლის შესახებაც ჩვენი სტუმარი, ამ წამოწყების ინიციატორი და ორგანიზატორი, მწერალი ვახტანგ გოგრაჭაძე გვესაუბრება.

- რამდენიმე კვირის წინ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებული ახალი შემოქმედებითი პროექტების მხარდაჭერის საგრანტო კონკურსის ფარგლებში, წარვადგინეთ საგრანტო განაცხადი „აჭარული ამბების“ კინოფესტივალის ჩატარების თაობაზე. პროექტი გულისხმობს აჭარის მასშტაბით ახალგაზრდა კინომოყვარულთა ფესტივალის ჩატარებას, რომლის სახელწოდება გახლავთ „აჭარული ამბები“. პირველი ეტაპი მოიცავს ფესტივალის მოსამზადებელ სამუშაოებს, საინფორმაციო შეხვედრებს ახალგაზრდებთან, ასევე საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებთან. მეორე ეტაპია ფესტივალში მონაწილეთა მასტერკლასები - რას ნიშნავს კინო და როგორ უნდა გადავიღოთ ფილმები. მესამე ეტაპი იქნება გადაღების პროცესის მონიტორინგი. მეოთხე ეტაპზე ფესტივალში მონაწილე ახალგაზრდების მიერ გადაღებული ფილმები გადმოიგზავნება მითითებულ ელფოსტაზე, შემდეგ კი ჟიურის წევრებთან. სამი წევრისგან დაკომპლექტებული მოწვეული კომპეტენტური ჟიური ხმათა უმრავლესობით გამოავლენს გამარჯვებულებს ნომინაციების მიხედვით. ჟიური ასევე გამოავლენს გრან-პრის მფლობელს.

- რა ნომინაციები გექნებათ?

- საუკეთესო მსახიობი (ბიჭი); საუკეთესო მსახიობი (გოგო); საუკეთესო რეჟისორი; საუკეთესო იდეის ავტორი (სცენარისტი); საუკეთესო საოპერატორო ნამუშევარი; საუკეთესო მონტაჟი; საუკეთესო მუსიკალური გაფორმება; საუკეთესო ანიმაციური პრიზი; საუკეთესო პროგრამა; მაყურებლის რჩეული ფილმი; გრან-პრი (მთავარი პრიზი); შესაძლებელია გამოვლინდეს დამატებითი ნომინაციები.

- როგორი იქნება ფილმის თემატიკა?

- ფილმის თემატიკა თავისუფალია, მხოლოდ არ შეიძლება ატარებდეს პოლიტიკურ და უცენზურო ხასიათს. ფილმები გადაღებული იქნება ტელეფონებით და არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს. კინომოყვარულთა ფესტივალ-კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ 25 წლამდე ახალგაზრდებს.

- სად გაიმართება ფესტივალი?

- ფესტივალი გაიმართება შუახევის მუნიციპალიტეტში. დაიწყება საღამოს საათებში.

- იდეა საიდან მოდის?

- მოსწავლე-ახალგაზრდები ნაკლებად არიან ჩართული კინოხელოვნებაში, განსაკუთრებით - მთიან მუნიციპალიტეტებში. მათ ფაქტობრივად, გარდა იმისა, რომ ტელეეკრანებზე ნახულობენ ფილმებს, სხვა არანაირი ჩართულობა და სიახლოვე არა აქვთ კინოხელოვნებასთან. უჭირთ კამერებთან მუშაობა, აქვთ ლოგოპედური პრობლემები და კომპლექსები პუბლიკის წინაშე. შესაბამისად, ვერ მზადდებიან მომავალი კინოხელოვანები. აჭარაში მცხოვრებ მოსწავლე-ახალგაზრდებში ნამდვილად არსებობს სამსახიობო, საოპერატორო, სარეჟისორო და ასე შემდეგ შესაძლებლობები. პროექტი ახალგაზრდებს საშუალებას მისცემს, გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები ამ სფეროში. კინო მსოფლიო მოვლენაა და მსგავსი პროექტები უწყობს ხელს დამწყებებს დამატებითი შესაძლებლობების გამოსავლენად კინოს სფეროში. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ 2021 წლის ბოლოს თბილისში გამართული საერთაშორისო ახალგაზრდული კინოფესტივალი „თბილისური აისი“, სადაც შუახევის კულტურის ცენტრმა წარვადგინეთ 15 წლის მოსწავლის საბა გოგრაჭაძის 10-წუთიანი ფილმი „წყაროთული ამბები“. მსოფლიოს 80 ქვეყნიდან გადმოგზავნილი იყო 850-მდე ფილმი. „წყაროთული ამბები“ გადავიდა 80 საკონკურსო ფილმში, აიღო ნომინაცია „ქართული კულტურის პოპულარიზაცია“, გახდა „პირველი არხის“ რჩეული და პრიზიორი.

- ასეთი ფესტივალი პირველია აჭარის მთიანეთის ისტორიაში...

- კინოფესტივალები არ იმართება ხშირად, განსაკუთრებით მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების მოსწავლე-ახალგაზრდები ნაკლებად არიან ჩართული ასეთ აქტივობებში. შევისწავლე საჯარო სკოლების მოსწავლეების ჩართულობა ამ მიმართულებით. თითქმის 90 პროცენტს არასდროს გადაუღია მხატვრული თუ დოკუმენტური მოკლემეტრაჟიანი ფილმი. ეს მიმართულება ახალია და შემეცნებით-გასართობია. მონაწილეებს საშუალება ეძლევათ, ფილმის თემატიკა თავად შეარჩიონ და წინა პლანზე წამოსწიონ საზოგადოებისთვის აქტუალური თემები, მაყურებელს აჩვენონ ნებისმიერი არსებული პრობლემა, წარმოაჩინონ საზოგადო მოღვაწეები. ახალგაზრდებისთვის ფილმზე მუშაობის პროცესი ძალზე საინტერესო და სახალისოა. გამოკითხული ახალგაზრდების 98 პროცენტისთვის ეს პროექტი ნოვაციაა და აქვთ სურვილი, თავიანთ თავს თვითონვე შეხედონ ტელეეკრანებზე. საზოგადოება დაინახავს, რომ მარტივი, რამდენიმეწუთიანი მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადაღება არ არის მიუღწეველი და ბავშვებსაც შეუძლიათ გააკეთონ ტელეფონებით. დღეს არსებული ტექნოლოგიები იძლევა ამის საშუალებას. შესაძლებელია ფესტივალმა ნებისმიერი ასაკის ადამიანი აღმოაჩინოს, რომელიც შემდეგშიც იქნება გამოყენებული კინოგადაღებებისთვის.

- რამდენადაც ვიცით, აჭარის მასშტაბით საინფორმაციო კამპანია გქონდათ...

- დიახ, საკმაოდ ფართოდ გავშალეთ საინფორმაციო კამპანია, მუნიციპალიტეტების მიხედვით გვყავს კოორდინატორები. შეხვედრები გავმართეთ საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებთან, საზოგადოებას ინფორმაცია მიეწოდა ტელევიზიებით, რადიოთი და სოციალური ქსელებიდან. კარგია, რომ მსგავს პროექტებს მხარს უჭერს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. მაქვს პატივი, თქვენი გაზეთით მადლობა გადავუხადო სამინისტროს კომისიას ამ პროექტით დაინტერესებისთვის.

ოდესის მე-8 საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი ბათუმში გაიმართება

ფესტივალის უკრაინელმა ორგანიზატორებმაც და მათმა გერმანელმა პარტნიორებმაც ერთხმად აირჩიეს ბათუმი ოდესის მერვე საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის მასპინძლად

საგულისხმოა, რომ გერმანელ, უკრაინელ და სხვა ევროპული ქვეყნების მწერლებსაც საქართველო, ბათუმი ეგულებათ მხარდამჭერად და პირველი რიგის პარტნიორად. ეს ლიტერატურული ფორუმი 2015 წელს ბერლინის ლიტერატურული ფესტივალის, გერმანელი პარტნიორების მხარდაჭერით დაფუძნდა და წელს მერვედ უნდა ჩატარებულიყო ქალაქ ოდესაში, თუმცა, ბუნებრი-ვია, რუსეთ-უკრაინის ომის გამო ეს შეუძლებელი გახდა. ამგვარად 5-6 ოქტომბერს ჩვენს ქალაქში ოდესის მერვე საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი გაიმართება, რომლის ფარგლებში, ქართველი და უცხოელი მწერლები უკრაინას და უკრაინელ მწერლებს სოლიდარობას ბათუმიდან გამოუცხადებენ.

ამ ლიტერატურული ფორუმის ერთ-ერთი მთავარი თემა წელს რუსეთ-უკრაინის ომია, ასევე, მისი გავლენა მსოფლიოზე. საგულისხმოა, რომ იგი ლიტერატურის მეშვეობით კიდევ უფრო გაამყარებს მეგობრობის ხიდს უკრაინასთან

და გამოხატავს საქართველოს ურყევ მხარდაჭერას ომში იძულებით ჩართული ამ ქვეყნის მიმართ, შავი ზღვის ორი მარგალიტი - ბათუმი და ოდესა კიდევ უფრო გააღრმავებენ კავშირს ერთმანეთთან. საგულისხმოა ისიც, რომ სწორედ ჩვენს ქალაქშია, სანაპიროზე, გამოჩენილი უკრაინელების - ტარას შევჩენკოსა და ლესია უკრაინკას ძეგლები.

უკრაინელი პარტნიორების ერთ-ერთი თანაორგანიზატორი საქართველოდან ორგანიზაცია „ქართული ლიტერატურული ინიციატივა“ გახლავთ, რომლის ხელმძღვანელია დეა მეტრეველი.

- მოგეხსენებათ, ასეთი მასშტაბის ფესტივალებისთვის მთელი წლის განმავლობაში ემზადებიან. ჩვენ კი ფორსმაჟორულ ვითარებაში, სულ რაღაც ორ თვეში მოგვიხდა 24 საფესტივალო ღონისძიების მომზადება, რაც საკმაოდ რთული იყო, თუმცა სიხარულის მომტანიც, რადგან შესაძლებლობა მოგვეცა, გამოგვეხატა უკრაინელი ხალხის მიმართ ჩვენი თანადგომა და პატივისცემა. ძალიან საინტერესო პროგრამა გვექნება. მინდა საგანგებოდ ვთქვა, რომ მასში მონაწილეობას მიიღებენ ძალიან საინტერესო და ცნობილი ქალები, რომლებიც ღიად ისაუბრებენ ომის ტრაგიზმზე, იმ სიმწარეზე, რომელსაც მხოლოდ ქალები ხედავენ და საკუთარ ტყავზე განიცდიან. ფესტივალს გახსნის ძალიან ცნობილი უკრაინელი ისტორიკოსი ქალი, პულიცერის პრემიის მფლობელი, რომელიც უკრაინის ომსა და მსოფლიოს მნიშვნელოვან მოვლენებზე ისაუბრებს. საფესტივალო პროგრამა საინტერესო იქნება ბავშვებისთვისაც. უკრაინელი მწერალი ქალი დოროჩენკო თანამემამულე დევნილ ბავშვებს შეხვდება, ხოლო ქართველი მწერალი თათია ნადარეიშვილი მასტერკლასს ქართველ ბავშვებს ჩაუტარებს - მათ დაეხმარება წერილების დაწერაში უკრაინელებისთვის, რომლებიც ადრესატებამდე აუცილებლად მივა, - გვითხრა დეა მეტრეველმა.

მან განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა ყველა ბათუმელისადმი ამ ფესტივალის მასპინძლობისთვის, განსაკუთრებით იმ სახელმწიფო უწყებებისა და კერძო სტრუქტურების მიმართ, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ამ ლიტერატურული ფორუმის ორგანიზებაში.

ბათუმი, როგორც ოდესის ერთგული პარტნიორი ქალაქი, უმასპინძლებს უკრაინელ, ქართველ, შვეიცარიელ, რუმინელ, პოლონელ, თურქ და სხვა უცხოელ მწერლებს. პროგრამაშია ქართულ-უკრაინული პოეზიის საღამოები, საბავშვო ლიტერატურული პროგრამა, ახალი წიგნების პრეზენტაციები, დისკუსიები და მთარგმნელობითი სემინარები. ღონისძიებები ბათუმის სხვადასხვა ლოკაციაზე გაიმართება, თუმცა ძირითადი სანახაობა და საინტერესო შეხვედრები ბათუმის საზაფხულო თეატრში გველოდება. ფესტივალის ყველა ღონისძიებაზე დასწრება თავისუფალია.

ფესტივალის პროგრამა განხორციელდება ნაწილობრივ ჰიბრიდული ფორმატით; ომის სირთულეების გამო უკრაინელი მწერლების, განსაკუთრებით მამაკაცების, ნაწილი მხოლოდ ონლაინ ჩაერთვება ღონისძიებებში. ყველა ღონისძიება გამოჩნდება YouTube-სა და Facebook-ის გვერდებზე.

ფესტივალის ორგანიზატორები არიან Peter Weiss Foundation for Art and Politics (გერმანია), ქართული ლიტერატურული ინიციატივა და გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“. ფესტივალი ხორციელდება Konrad Adenauer Foundation-ის (გერმანია), Jan Michalski Foundation-ის (შვეიცარია), international literature festival berlin (ilb)-ის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს, ბათუმის მერიის, Prohelvetia-ს (შვეიცარია) და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით. ფესტივალი წელსაც განაგრძობს თანამშრომლობას Odesa Academic Ukrainian Music and Drama Theater named after V. Vasylko-სთან. ორგანიზატორები აგრძელებენ მოლაპარაკებებს სხვა დაინტერესებულ პარტნიორებთან და მხარდამჭერებთან.

ფესტივალს ვრცლად „აჭარა“ მომდევნო ნომრებში გააშუქებს.

მარი მიდასელი

თეატრმა სეზონი გახსნა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ხულოს პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში 86-ე სეზონი საპრემიერო სპექტაკლით - „ხორუმი ქართული ცეკვაა“ (გურამ დოჩანაშვილის მოთხრობის მიხედვით) გაიხსნა.

სპექტაკლი სრული ანშლაგით წარიმართა. პრემიერას საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ანზორ ბოლქვაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძე, ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბოლქვაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატი ფრიდონ ფუტკარაძე, თეატრმცოდნეები, საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია მერაბ ლებანიძე.

- ხულოს დრამატული თეატრის სამხატრო ხელმძღვანელად რამდენიმე თვის წინ საკონკურსო შერჩევით დავინიშნე. აქ არის დიდი რესურსი, რომ თანამედროვე მოთხოვნებს ფეხი ავუწყოთ,- გვითხრა თამაზ ბოლქვაძემ.

მშობლიური შუახევი - მასპინძელი

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ვლადიმერ მახარაძე მარეთის ხეობაში პირველი იყო, ვინც წინა საუკუნის 70-იან წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. იმ წლებიდან მოყოლებული აქტიურადაა ჩართული ქვეყნის სასიკეთო საქმეებში

მისი ღვაწლი ნათლად წარმოჩნდა მეცნიერულ ასპარეზზე, პოლიტიკურ საქმიანობასა და ქველმოქმედებაში. 12-ზე მეტი წიგნის ავტორს, ფარმაცევტულ კომპანია «ჰეკატეს» დამფუძნებელს, პროფესორს, ქართული პოეზიის ქომაგს სპორტიც, გამორჩეულად კი ქართული ჭიდაობა იზიდავს. დროული და უპრიანი იყო აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის ინიციატივა. ვლადიმერ მახარაძის სახელობის ტურნირის დაწესება.

ეს ტურნირი, მეტწილად, ქალაქ ბათუმში იმართებოდა, ერთხელ ქედამაც უმასპინძლა. წელს კი, ვინაიდან ვლადიმერ მახარაძეს დაბადებიდან 65 წელი შეუსრულდა, ორგანიზატორებმა, აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს მისი სახელობის ტურნირის მშობლიურ შუახევში ჩატარება.

შუახევის სასპორტო სკოლის დარბაზში თავი მოიყარეს ვლადიმერ მახარაძის მეგობრებმა, მისი საქმიანობის დამფასებლებმა, ქართული ჭიდაობის ქომაგებმა. ტურნირზე დაუშვეს 2005-2007 წლებში დაბადებული სპორტსმენები ქობულეთის, ქედის, შუახევის მუნიციპალიტეტებიდან და ქალაქ ბათუმიდან.

შეჯიბრება 6 წონით კატეგორიაში გაიმართა. ტურნირი გახსნა და ღონისძიების მონაწილეებს ვლადიმერ მახარაძის ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ ესაუბრა აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ჯემალ წულუკიძე. მანვე ვლადიმერს ქართული ჭიდაობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობის ბარათი და ოქროს medალი გადასცა. ტურნირის მონაწილეებს მიესალმნენ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები გიორგი კეკელიძე, ფრიდონ ფუტკარაძე, აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, ტურნირის მთავარი მსაჯი გელა ზოიძე, შუახევის სასპორტო სკოლის დირექტორი რამინ ჯოიძე, ჟურნალისტი ოთარ ცინარიძე, შუახევის მუნიციპალიტეტის მერის სამსახურის უფროსი ფრიდონ დავითაძე, მწერალი, საზოგადოება «მარეთის» თავმჯდომარე აკაკი მახარაძე.

50-ზე მეტი სპორტსმენი გამოვიდა საჭიდაო ხალიჩაზე. 55, 60, 66, 73 და აბსოლუტურ წონით კატეგორიებში ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ ვაჟა მჟავანაძე (შუახევი), ლუკა ხალვაში (ქედა), ლაშა პაპიძე (ბათუმი), ლაშა ბერიძე (ქობულეთი), რიჩარდ ფუტკარაძე (შუახევი). ტურნირზე კარგად მომზადებული გუნდი გამოიყვანეს შუახევის და ქობულეთის მუნიციპალიტეტებიდან. ერთი წელიც არაა, რაც ქობულეთის მუნიციპალიტეტში ქართული ჭიდაობის სექცია (ხელმძღვანელი - რუსლან შავაძე) ჩამოყალიბდა. საქმის მოყვარე სპეციალისტის ხელი ყველაფერს უმალვე დაეტყო. 66 კგ წონით კატეგორიაში საპრიზო ადგილზე ქობულეთელები გავიდნენ.

საპრიზო ადგილზე გასული მოჭიდავეები ვლადიმერ მახარაძემ და ტურნირის ორგანიზატორებმა საპატიო სიგელებით, medლებით, ხოლო ჩემპიონები თასებით დააჯილდოვეს.

- ტურნირი მაღალ დონეზე ჩატარდა. უდავოდ, მადლობას იმსახურებენ მასპინძლები. ისინი ჩვენთან ერთად ღირსეულ შუახეველს ვლადიმერ მახარაძეს მოეფერნენ. ალექსანდრე დავითაშვილი, გიორგი ბიწკინაშვილი, შალვა ტაბაღუა აჭარის ქართული ჭიდაობის საპატიო პრეზიდენტები არიან. ფედერაციის უახლოეს სხდომაზე ამ ტიტულის მფლობელი ვლადიმერ მახარაძეც გახდება, - თქვა ჯემალ წულუკიძემ.

შუახეველ რიჩარდ ფუტკარაძეს ეს ტურნირი დიდხანს ეხსომება - იგი ჩემპიონი ორ წონით კატეგორიაში 73 კილოგრამსა და აბსოლუტურ წონაში გახდა.

- ბატონი ვლადიმერი მარეთის ხეობის მკვიდრია. ჩემთვის უდიდესი პატივია, ვიყო ასეთი ღირსეული პიროვნების თანახეობელი. მისი სახელობის ტურნირზე პირველად ვიასპარეზე. ძალების მაქსიმალური დაძაბვა გახდა საჭირო, რომ ხალიჩა გამარჯვებულს დამეტოვებინა. სიგელი, medალი და თასი ბატონმა ვლადიმერმა გადმომცა. ეს ჩემთვის დიდი მოტივაციაა, იმედებს მომავალშიც გავამართლებ, - გვითხრა რიჩარდმა.

კომენტარი ვლადიმერ მახარაძესაც ვთხოვეთ:

- ტურნირზე ძმებთან, მეგობრებთან, თანასოფლელებთან ერთად მოვედი. გონებაში გადავათვალიერე ადრინდელი და დღევანდელი ტურნირები. მისასალმებელია, რომ მონაწილეთა რაოდენობრივ ზრდას ხარისხი, ქართული ჭიდაობისთვის დამახასიათებელი ელემენტები ახლავს, რაც ფედერაციის ახლანდელი ხელმძღვანელობის დამსახურებაა. მადლობა ტურნირის ორგანიზატორებს, ჩემს თანარაიონელებს გულშემატკივრობისა და გულთბილი მასპინძლობისთვის, - გვითხრა ვლადიმერმა.

2023 წლიდან საჯარო სკოლებში მასწავლებელთა დანამატი და მანდატურთა ხელფასი 125 ლარით გაიზრდება

ამის შესახებ მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტშია აღნიშნული. დოკუმენტის თანახმად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება განისაზღვრა 1 978 600 000 ლარით, რაც 2022 წლის დამტკიცებულ ასიგნებას 293,7 მლნ ლარით აღემატება, მათ შორის თანხები ძირითადად შემდეგი პროგრამების განხორციელებაზე მიიმართება:

სკოლამდელი და ზოგადი განათლება - 1 293 400 000 ლარი, რაც წინა წლის დამტკიცებულ ასიგნებასთან შედარებით 136 მლნ ლარითაა გაზრდილი. აღნიშნული თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია საჯარო სკოლების მასწავლებელთა დანამატის და მანდატურთა ანაზღაურების ზრდა 125 ლარით, ხოლო ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ხელფასებისა - 10%-ით;

პროფესიული განათლება - 87,4 მლნ ლარი. გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში გათვალისწინებულია მასწავლებელთა საათობრივი ანაზღაურების ზრდა 15-დან 18 ლარამდე;

უმაღლესი განათლება - 148,5 მლნ ლარი;

მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა - 75,8 მლნ ლარი. გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში გათვალისწინებულია სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში დასაქმებულთა ხელფასების 10%-იანი ზრდა;

ინკლუზიური განათლება - 42,6 მლნ ლარი. პროგრამის ფარგლებში მასწავლებლების ანალოგიურად გათვალისწინებულია სპეცმასწავლებლების ანაზღაურების ზრდა 125 ლარით.

ამირან გურიელიძე

„ამერიკული განათლება შენს ქალაქში“ – საერთაშორისო დონის, მომავალზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სივრცე გაიხსნა

პირველი გვერდიდან

ახალი შენობა სრულად ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის - მოეწყო პანდუსები, დამონტაჟდა ლიფტი.

სამშენებლო სამუშაოები 33-წლიანი გამოცდილების მქონე კომპანია „ანაგმა“ განახორციელა. პროექტის ჯამურმა ინვესტიციამ 15 მილიონი ლარი შეადგინა.

„პროგრესი“ უკვე 20 წელია, ერთ-ერთი ლიდერი საგანმანათლებლო ქსელია საქართველოში. აკადემია „პროგრესი“ სამ მსხვილ კამპუსს აერთიანებს თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში და მოსწავლეებს ამერიკული სტანდარტისა და ხარისხის შესაბამის განათლებას სთავაზობს.

ქართულ-ამერიკულ აკადემია „პროგრესს“ აკრედიტაცია მინიჭებული აქვს ამერიკულ საერთაშორისო მაკრედიტებელ ორგანო Cognia-ს (Advanced) მიერ, რაც ნიშნავს, რომ მოსწავლეს ორმაგი - როგორც სახელმწიფო, ასევე, ამერიკული (საერთაშორისოდ აღიარებული) ატესტატი ექნება.

ქართველ და უცხოელ მოსწავლეებს სასწავლო პროცესის განმავლობაში საშუალება აქვთ, მოემზადონ ამერიკული წინასაუნივერსიტეტო პროგრამებისთვის, სკოლაშივე ჩააბარონ საგნობრივი AP გამოცდები, რომლებსაც საერთაშორისო უნივერსიტეტებში კრედიტებად აღიარებენ.

ყალბი ფულის ნიშნების გავრცელების შესაზღუდად...

ეროვნულმა ბანკმა საქართველოს ტერიტორიაზე ყალბი ფულის ნიშნების გამოვლენის ფაქტებზე რეაგირების შესაბამისი წესი დაამტკიცა. ინფორმაციას ამის შესახებ ეროვნული ბანკი ავრცელებს. მისივე ცნობით, დოკუმენტით განსაზღვრულია, თუ როგორ უნდა იმოქმედონ ნაღდი ფულის ოპერაციების განმახორციელებელმა პირებმა ყალბი ფულადი ნიშნების გამოვლენისას, როგორ უნდა უზრუნველყონ ყალბი ან საეჭვო ფულის ნიშნების მიმოქცევიდან დაუყოვნებლივი ამოღება და სათანადო ორგანოების დროულად ინფორმირების გზით, ქვეყნის ტერიტორიაზე ყალბი ფულის ნიშნების გავრცელება შეზღუდონ.

ხაზგასასმელია, რომ გამოვლენილი ყალბი ფული არ ანაზღაურდება და დაბრუნებას არ ექვემდებარება.

„რეგულაცია ვრცელდება როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაზე და მისი შესრულება სავალდებულოა როგორც საფინანსო სექტორის წარმომადგენლებისთვის, ისე სავაჭრო, პროდუქციის მიმწოდებელი და მომსახურების გამწევი სხვა პირებისთვის, ნაღდი ფულით ანგარიშსწორების, დახურდავების, გამოცვლის, სხვა ვალუტაზე გაცვლის ან შემოწმებისას. აღნიშნული პირები ვალდებული არიან, ნაღდი ფულის მიღება-გაცემის ოპერაციებზე მხოლოდ ფულის ნიშნების დამცავი მექანიზმების მცოდნე პირთა დაშვება და ამ მიმართულებით მათი პერიოდული გადამზადება უზრუნველყონ. საფინანსო სექტორის წარმომადგენელი, ყალბი ან საეჭვო ფულის ნიშნის გამოვლენის შემთხვევაში, ვალდებულია წარმომდგენს, ყალბი ან საეჭვო ფულის ნიშნის კატეგორიის სტატუსით, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, შემდგომი ექსპერტიზის მიზნით, ისეთი ფულის ნიშანი ჩამოართვას, რომლის ნამდვილობისა და გადასახდელად ვარგისობის დადგენა ვერ ხერხდება ადგილზე ან არსებობს ეჭვი მისი სიყალბის თაობაზე. ასევე უნდა შეადგინოს ცნობის სამი ეგზემპლარი, რომელთაგან ერთი, გამოვლენილ საეჭვო ფულის ნიშანთან ერთად, გამოვლენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, ეროვნულ ბანკს შემდგომი ექსპერტიზა-რეაგირებისათვის უნდა გაუგზავნოს, მეორე - წარმომდგენს უნდა გადასცეს, ხოლო მესამე პირი თავისთან დაიტოვოს. რაც შეეხება მომსახურების გამწევ ნებისმიერ სხვა პირს, ყალბი ან საეჭვო ფულის ნიშნის გამოვლენის შემთხვევაში, ისინი ვალდებულნი არიან, ანგარიშსწორების პროცესში წარმომდგენს განუმარტონ, რომ ფულის ნიშანი შესაძლებელია იყოს ყალბი და სათანადო რეაგირების მიზნით, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ის საშუალებით გამოიძახოს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი, რომელიც, თავის მხრივ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეაგირებას მოახდენს“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომძიებელი რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. გაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 3/10/22, 21 10 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

განუმეორებელი ბათუმური დღეები – კლასიკური მუსიკის მოყვარულებისთვის

ნანა აბულაძე 577 20 35 90

კლასიკური მუსიკის რამდენიმედღიანი ზეიმი, სიხარულისა და ბედნიერების ნამდვილი ფოიერვერკი - ფესტივალი „ბათუმის რაფსოდია“ და მის ფარგლებში გამართული ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსი „ოპერის ოქროს ხმა“, რომელმაც ერთნაირი აღფრთოვანება გამოიწვია საზოგადოებაში, გამარჯვებულების გამოვლენით დასრულდა. „ოპერის ოქროს ხმის“ ტიტული ელმინა ჰასანოვას მიენიჭა, მეორე ადგილის მფლობელი ეკატერინე ბუაჩიძე გახდა, ხოლო მესამე ადგილი იულია მიუზიჩენკომ და ანა იმედაშვილმა გაინაწილეს

- ბედნიერი ვარ, რომ გავიმარჯვე კონკურსში, რომელიც ჩატარდა საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ და თბილ ქალაქში, ბათუმში. მადლიერი ვარ ყველასი, ვინც დამეხმარა, ვყოფილიყავი თავდაჯერებული ამ სცენაზე და გამემარჯვა. მადლობა ჩემს საუკეთესო მეგობრებს, მადლობელი ვარ ამ საოცარი გუნდის. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ეს არის ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანი კონკურსი, რომელიც არაერთ ახალგაზრდას გაუხსნის გზას წარმატებული მომავლისაკენ. 22 წლის ასაკში ეს აღიარება ჩემთვის უმნიშვნელოვანესია და სტიმულს მაძლევს, კიდევ უფრო მეტი გავაკეთო მომავალში, - განაცხადა „ოპერის ოქროს ხმამ“ ელმინა ჰასანოვამ, რომელსაც ძალიან უყვარს ჩვენი ქვეყანა, ცხოვრობს საქართველოში და ელოდება საქართველოს მოქალაქეობას.

თავისი ემოციები ასევე გაგვიზიარა მეორე ადგილზე გასულმა ეკატერინე ბუაჩიძემ.

- ემოციებით სავსე ვარ, მართლა არ ვიცი, რა ვთქვა. ძალიან დიდი მადლობა ქალბატონ თამარს, რომ ეს კონკურსი დააფუძნა, ასევე, ყველა იმ ადამიანს, ვინც მის განხორციელებაში მიიღო მონაწილეობა. მადლობა, რომ ასეთი დონის ჟიური ჩამოიყვანეს და ახალგაზრდა მომღერლებს მოგვცეს საშუალება, წარვმდგარიყავით ორკესტრთან ერთად და ჩვენი შესაძლებლობები გვეჩვენებინა. უზომოდ მადლიერი ვარ ყველასი: ჩემი პედაგოგის, კონსერვატორიის, ყველა მათგანის, ვინც დამეხმარა გამოვსულიყავი და მემღერა ასეთი დონის კონკურსზე, - გვითხრა მან.

აღსანიშნავია, რომ ფესტივალ-კონკურსის დასკვნით საღამოს 72 კონკურსანტიდან 10 ფინალისტს მოუსმინეს, მათგან კი ჟიურიმ, რომელიც მსოფლიო საოპერო ინდუსტრიის წამყვანი სახეებით იყო დაკომპლექტებული, საუკეთესოები გამოავლინა. კონკურსანტებს ერთი კვირის განმავლობაში, საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობის დემონსტრირების პარალელურად, უნიკალური საშუალება მიეცათ, გაევლოთ რეპეტიციები მოწვეულ და ადგილობრივ კონცერტმაისტერებთან, ემუშავათ ორკესტრთან, დასწრებოდნენ ცნობილი მომღერლებისა და ხელოვანების საჯარო ლექციებსა და მასტერკლასებს.

„ოპერის ოქროს ხმის“ საპრიზო ფონდი 15 000 ევრო იყო, რომელიც კონკურსის შედეგად გამოვლენილ ოთხ გამარჯვებულზე გადანაწილდა. ფესტივალ-კონკურსის დამფუძნებლის თამარ ივერის ინიციატივით, კონკურსის ფარგლებში, დაარსდა დიდი ქართველი ტენორის - ალექსანდრე ხომერიკის პრემია 1000 დოლარის ოდენობით, რომელიც საერთაშორისო კარიერის მქონე ბათუმელმა ტენორმა ირაკლი კახიძემ დააფინანსა. თამარ ივერის განცხადებით, უზომოა საქართველოში და, კერძოდ, ქალაქ ბათუმში ალეკო ხომერიკის წვლილი საოპერო მუსიკის განვითარებაში, ახალგაზრდა და ნიჭიერი მომღერლების აღმოჩენა-ხელშეწყობაში. შესაბამისად, აღნიშნული პრემია არის დიდი მაესტროს შემოქმედებისა და მოღვაწეობისადმი მადლიერების გამომხატველი ჟესტი.

დაჯილდოების ღონისძიებას, რომელიც ბათუმის დრამატულ თეატრში გაიმართა, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, აჭარის კულტურისა და სპორტის მინისტრ მაია ხაჯიშვილთან ერთად დაესწრო.

- დღეს დავესწარი არაჩვეულებრივ საღამოს, რომლის იდეაც ეკუთვნის თამარ ივერს, ადამიანს, რომელიც დღენიადაგ ზრუნავს იმაზე, რომ წარმატებული იყოს ჩვენი ახალი თაობა ვოკალისტებისა. აქვს ძალიან ფაქიზი განცდა იმისა, თუ როგორ უნდა იყოს კონკურსისას, ახალგაზრდების ხელშეწყობისას სამართლიანობა დაცული და დამსახურებისა და შრომის მიხედვით როგორ უნდა წავახალისოთ ჩვენი მომავალი თაობის წარმომადგენლები, ძალიან ნიჭიერი ვოკალისტები. ქალბატონმა თამარ ივერმა ჩვენთან და აჭარის კულტურის სამინისტროსთან ერთად, ბათუმის მერიის ხელშეწყობით, შეძლო ის, რომ ბათუმში ჩამოიყვანა 82 ახალგაზრდა ვოკალისტი მთელი მსოფლიოდან, მან შეძლო ის, რომ ამ კონკურსს ჰყავდა საუკეთესო მსოფლიო დონის ჟიური. ამ დიდი წარმატებიდან გამომდინარე, ჩვენ ვიმსჯელებთ, აჭარის ხელისუფლებასთან ერთად, იმისათვის, რომ ეს წარმატებული მოვლენა განმეორდეს ყოველ წელს თუ ორ წელიწადში ერთხელ. ერთხმად ვაღიარებთ, რომ ეს პროექტი წარმატებით შედგა, რასაც გილოცავთ ყველას, - განაცხადა თეა წულუკიანმა.

თამარ ივერმა საღამოს დასასრულ დარბაზში დამსწრე საზოგადოებას, ასევე თითოეულ უწყებას და ადამიანს მადლობა გადაუხადა თავისი დიდი ხნის ოცნების ახდენისთვის, რომ ბათუმში ჩაეტარებინა ფესტივალ-კონკურსი, რომლის მიზანი მუსიკოსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და საერთაშორისო დონეზე მათი მუსიკალური შესაძლებლობების უკეთ წარმოჩენა იქნებოდა.

- დასრულდა ერთკვირიანი მარათონი საოპერო მომღერლებისა, რომელიც მთელი ქვეყნის საოპერო ზეიმად იქცა. მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ ჩემი დიდი ხნის სურვილი და ჩანაფიქრი იყო, საქართველოს ძალიან მაღალი დონის საოპერო კონკურსი ჰქონოდა, ასევე, მაღალი დონის ჟიურის წარმომადგენლებით. ეს ჩანაფიქრი განხორციელდა. მინდა ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ყველა იმ უწყებასა თუ ადამიანს, ვინც ამ საოპერო ზეიმის განხორციელების საშუალება მოგვცა. ეს მართლაც იყო ერთკვირიანი ფოიერვერკი, ზეიმი, რაც ვაჩუქეთ საქართველოს. კონკურსი სრული ობიექტურობით ჩატარდა, სადაც ახალგაზრდა და ნიჭიერმა ახალგაზრდებმა გაიმარჯვეს. ბედნიერი ვარ, რომ დაარსდა „ოპერის ოქროს ხმა“, ფესტივალი „ბათუმური რაფსოდია“, რომელიც უკვე ძალიან შეიყვარა ბათუმმა და მინდა, ეს ზეიმი ხშირად იყოს. რამდენიმე სიტყვას გამარჯვებულზეც გეტყვით, რომელიც აზერბაიჯანის წარმომადგენელია და საქართველოში ცხოვრობს. ფენომენალური მონაცემების გოგოა, 22 წლის ასაკში ის საოცარ რეპერტუარს საოცარი პროფესიონალიზმით მღერის. ზოგჯერ გაგიკვირდება, რომ სცენაზე 22 წლის მომღერალი დგას, პირველივე დღიდან სწორედ ის იყო ჟიურის ფავორიტი. ჩემთვის აღმოჩენა იყო მეორე პრემიის მფლობელი, შესანიშნავი გოგონა ეკატერინე ბუაჩიძე, რომელმაც ფინალში საოცარი დონე გვაჩვენა და მე მინდა მას გზა დავულოცო. მესამე ადგილი, მოგეხსენებათ, გაიყვეს წარმოშობით უკრაინელმა იულია მუზიჩენკომ, რომელიც გერმანიის სახელით გამოდიოდა და ჩვენმა ანა იმედაშვილმა, მინდა უდიდესი წარმატება ვუსურვო მათ. მიმაჩნია, რომ ეს კონკურსის ათივე ფინალისტი უკვე გამარჯვებულია, რადგან მათ შესაძლებლობა მიეცათ, წარმსდგარიყვნენ ასეთი სახელოვანი ჟიურის წინაშე და წარმოეჩინათ საკუთარი შესაძლებლობები. საოცარი ატმოსფეროთი სავსე რამდენიმე ჯადოსნური დღე დასრულდა. თითოეულ ადამიანს გულწრფელი ემოციებისთვის, დახმარებისა და გვერდში დგომისთვის, თუნდაც მცირედი წვლილისთვის ვუცხადებ მადლობას. მიხარია, რომ ამიერიდან მომღერლებს ექნებათ მოტივაცია, ჩააბარონ კონსერვატორიაში, რადგან არსებობს კონკურსი, სადაც მათ მოსასმენად თამარ ივერის დახმარებით ჩამოვა მსოფლიო დონის ჟიური. ძალიან მიხარია, რომ დღევანდელი ზეიმი ანშლაგით შედგა, დაგვაფასა და სპეციალურად ჩამოვიდა თბილისიდან ქალბატონი თეა წულუკიანი, რომლის დიდი წვლილია ამ კონკურსის თანადგომაში, ასევე, ქალბატონ მაია ხაჯიშვილის, აჭარის მთავრობის თავმჯდომარის, ბატონ თორნიკე რიჟვაძის და ბათუმის მერ არჩილ ჩიქოვანის. მიმაჩნია, რომ დღესასწაული შედგა სადღესასწაულო ბათუმში. ვფიქრობ, ბათუმი შექმნილია ასეთი შესანიშნავი ფესტივალებისთვის და კონკურსებისთვის, - აღნიშნა „ბათუმის რაფსოდიის“ დამფუძნებელმა და პრეზიდენტმა, ქართველმა სოპრანო თამარ ივერმა.

გაზეთ „აჭარასთან“ გამოთქმულ შეფასებებში რესპონდენტები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ კონკურსანტთა მულტინაციონალური შემადგენლობა, კომპეტენტური ჟიური მსოფლიოს წამყვანი საოპერო თეატრებიდან იმის მიმანიშნებელია, რომ დებიუტანტი ფესტივალი მსოფლიო მასშტაბის კულტურულ მოვლენად უსათუოდ იქცევა.

ნატალია ორაგველიძე, საერთაშორისო ფესტივალ „ბათუმის რაფსოდიის“ ვოკალური კონკურსის „ოპერის ოქროს ხმის“ გენერალური მდივანი:

- შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალმა „ბათუმის რაფსოდია“, რომელიც 24-დან 30 სექტემბრის ჩათვლით გაიმართა ჩვენს ქალაქში, ნამდვილად დაუვიწყარი ერთი კვირა გვაჩუქა, რომელიც დატვირთული იყო სხვადასხვა საინტერესო აქტივობებით და ყველაფერი ეს ეძღვნებოდა მის უდიდეს ბულესობა მუსიკას, კერძოდ, კლასიკურ საოპერო ჟანრს, რომელიც არის ძალიან ძვირად ღირებული ფუფუნება მსოფლიოში. ეს ნიჭიერების ფოიერვერკი აჭარას მოუწყო უნიჭიერესმა ქალბატონმა, მსოფლიოში სახელგანთქმულმა სოპრანო თამარ ივერმა, რომელმაც ფეხი ბათუმის საოპერო სცენაზე აიდგა და 5 წლის განმავლობაში იყო ჩვენი პრიმა. თამარს სულ ჰქონდა ოცნებად, ბათუმისთვის გაეკეთებინა განსაკუთრებული საჩუქარი და ეს გამოუვიდა კიდეც. ისეთი მუსიკოსები, ამ სფეროში მსოფლიო დონის აგენტები და საოპერო დონის მომღერლები ჩამოიყვანა, ასეთი ვარსკვლავთცვენა ბათუმში ნამდვილად იშვიათია. მსგავსი შესაძლებლობის ბათუმში გაჩენა ალბათ რთული წარმოსადგენი იყო ჩვენი ახალგაზრდებისთვის. მჯერა, ბევრი მათგანისთვის საერთოდ შეიცვლება მომავალი. მოგეხსენებათ, „ბათუმის რაფსოდიის“ ფარგლებში შედგა სამტურიანი საოცარი კონკურსი, სადაც 17-მა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა, ფინალში გადასულ ათ მომღერალს კი ჰქონდა ფუფუნება, სიმფონიურ ორკესტრთან ერთად შეესრულებინა ორ-ორი არია. ასევე გაიმართა საოცარი მასტერკლასები. აღსანიშნავია, რომ სამსაათიანი მასტერკლასი 6 საათად აქცია ორლინ ანასტასოვმა, მსოფლიოში ცნობილმა ბანმა, რომელიც აღფრთოვანდა ქართული ხმების სილამაზით, შესაძლებლობებით და არ დაიშურა ამისთვის დრო და ენერგია, რისთვისაც მადლობას ვუხდი მას და, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ ქალბატონ თამარს. ასევე, გაიმართა მოსმენა 35 წელს ზემოთ მომღერლების, რაც ფრიად მნიშვნელოვანია და ახალი ფორმაა ჩვენი ურთიერთობის, რაც აუცილებლად გაგრძელდება. ვფიქრობ, ათივე ფინალისტი უკვე არის გამარჯვებული, დარწმუნებული ვარ, მათი ხვალინდელი დღეც სხვანაირი იქნება. მართლა საოცარი საქმე გააკეთა ქალბატონმა თამარმა ბათუმისთვის და ზოგადად ქვეყნისთვის. ძალიან ბედნიერი და ამაყი ვარ, რომ დღეს ეს ყველაფერი ჩემს ქალაქში ხდება. მჯერა, ფესტივალი აუცილებლად მიიღებს ტრადიციულ სახეს და ხელს შეუწყობს ქართული კლასიკური მუსიკის პოლულარიზაციას, მით უმეტეს, ქართულ ნიჭიერებას, რომელსაც საზღვრები არ გააჩნია. თუ გადავხედავთ მსოფლიოს საოპერო სცენებს, ყველგან არიან ქართველები, ქართული ხმები ყველგან ჟღერს.

ძმითვან მანელიშვილი, მუსიკოსი:

- მინდა სიამაყით ვთქვა, რომ ეს კონკურსი ძალიან მაღალ დონეზე შედგა. აღსანიშნავია არაჩვეულებრივი და კომპეტენტური ჟიური, ასევე, საოპერო ხმები, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვიდნენ ჩვენთან. პირველივე ჯერზე რაც მოხდა კონკურსზე - თამარ ივერის დამსახურებით მსოფლიო დონის მუსიკოსები ჩამოვიდნენ, ეს არის საოცრება, შეიძლება ითქვას მოვლენა. აღნიშნლი ფესტივალი ბევრი მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანია ბათუმისთვის. ეს ერთი კვირა ჩვენს ქალაქში იყო ზეიმი და ამ საოცარი კონკურსისთვის მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ქალბატონ თამარ ივერს. ველოდები, რომ მომავალშიც ფესტივალ-კონკურსი ანალოგიურად მაღალ დონეზე გაიმართება.

პაატა ბურჭულაძე, საოპერო მომღერალი:

- ძალიან მნიშვნელოვანია ის, რაც ხდება დღეს ბათუმში, მინდა პირველ რიგში ჩემს თამარ ივერს მივულოცო ეს წარმატება. დღეს ბათუმი და აღნიშნული კონკურსი ნამდვილად არის ევროპისა და მსოფლიოს საოპერო ინდუსტრიის ყურადღების ცენტრში. აქ ჩამოვიდნენ ძალიან კარგი და სახელოვანი ჟიურის წევრები. მინდა ვთქვა, რომ ქართველები ძალიან ნიჭიერი ხალხი ვართ, ჩვენი ხმები განსაკუთრებულია, ამიტომაც ვიმსახურებთ მაღალ შეფასებას უცხოელებისგან. მინდა წარმატებები ვუსურვო ფესტივალს და კონკურსს ერთდროულად, რომელიც მჯერა, არაერთი „ოპერის ოქროს ხმის“ აღმომჩენი გახდება მომავალშიც.